# დროება

**ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

№ 15 პარასკევი, 5 დეკემბერი 1908 წ. № 15

გაზეთი „დროება" ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით 90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭВА".

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.**



მიიღება ხელის-მოწერა 1909 წლისათვის

## დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

**ყოველ დღიურ გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება**

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

მომავალ წელსვე გაზეთში დაიბეჭდება „რუსეთის საიდუმლოების" ფელეტონები. ფელეტონები უკვე დაკვეთილია და დეკემბერშივე დაიწყება ბეჭდვა.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

**თვიური ფასები:**

(პირველი სტრიქონი რუსეთისაა, მეორე—საზღვარ-გარეთისა)

| 12 თვით | 11 თვით | 10 თვით | 9 თვით | 8 თვით | 7 თვით | 6 თვით | 5 თვით | 4 თვით | 3 თვით | 2 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8—50 | 8—10 | 7—60 | 7—10 | 6—50 | 5—80 | 5—10 | 4—40 | 3—70 | 3— „ | 2— „ | 1— „ |
| 12— „ | 11— „ | 10— „ | 9— „ | 8— „ | 7— „ | 6— „ | 5— „ | 4—50 | 3—50 | 2—50 | 1—50 |

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე. წლიურმა ხელის-მომწერმა ფული ან ერთიამად უნდა შემოიტანოს ან ნაწილ-ნაწილ ამნაირად: პირველად—3 მანეთი, პირველ მარტისთვის—2 მანეთი, პირველ მაისისთვის—2 მანეთი და პირველ ივლისისთვის—1 მან. 50 კაპ. გაზეთის გამოწერა დამატებით არ შეიძლება.

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

## კალენდარი 1909 წლისა

**ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:**
„დროების" კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, N 12; წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში მ. ქურცაძესთან—სასახლის ქუჩა, თავად-აზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღლონტიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიგოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

პროვინციალურ აგენტებთან ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით არ მიიღება. პროვინციალურმა ხელის-მომწერლებმა რედაქციიდან უნდა დაიკვეთონ გაზეთი ფოსტით.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" [illegible]


თავადნი ესტატე, ნიკოლოოზ და კნ. ნინო თარხან-მოურავები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის ძმის

**თავ. დავით ლუკას ძის თარხან-მოურავოვისას.**

პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 5 დეკემბერს, შუადღის 2 საათზედ. (1—652—1)

---

**სოფიო** (ელისაბედ) **თამარ გრიგოლის ასული, იოსებ და გაბრიელ გრიგოლის ძენი რომანიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა უეცრივ და მოულოდნელ დაკარგვას ძვირფას დედის

**მელანია ივანეს ასულის რომანიშვილისას.**

გამოსვენება პარასკევს, 5 დეკემბერს, $9^1/_2$ საათზე, საკუთარს სახლიდან, მუხრანიანთ ქუჩა, № 11. ანჩისხატის ტაძარში გადახდილი იქმნება წირვა. (2—646—2)

---

თავადი ივანე გრიგოლის ძე

**სიდამონ-ერისთავი**

მოულოდნელად გარდაიცვალა გულის სიგანივრით 1-ს დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ მეუღლე მისი **ელისაბედ ბართლომეს ასული**, და და განსვენებულისა **ელისაბედ გიორგის ასული ანდრონიკაშვილისა**

პანაშვიდები ყოველ დღე ნაშუადღევის 1-ლ საათზე და საღამოს 7 ს.: მთაწმინდის ტუპიკი, № 1. ვამოსვენება დღეს, 5 დეკემბ., ბინიდან დილის 10 ს., ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, საიდანაც გაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად.

---

**ნინო პავლეს ასული, ანნა ივანეს ასული, ალექსანდრე ივანეს ძე და ნინო ნიკოლოზის ასული გარსიაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი უსაყვარლეს შვილის, შემდეგნი ორნი—ძმის, ხოლო მეოთხე—მაზლის ლებედინის საავადმყოფოს ახალგაზდა ექიმის

**პავლე ივანეს ძის გარსიაშვილისას.**

პანაშვიდი ს. ქარელში, 6-ს დეკემბერს, დილის 12 საათზე. (2—648—2)

---

**ექიმი ზ. ე. ხოჯაპარუხოვი** ყოფილი ასისტენტი ოდესის უნივ. კლინიკისა, მიიღებს ხიფილისით, სამარდით და კანით ავადმყოფთ დილით 9—11 ს., საღამოთი 5—7 ს; ქალებისა და ბავშვებისათვის 11—12 ს. სოლოლაკი, ბებუთოვის ქ., N 29, საკ. სახ. (25—639—9)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით ქალებს დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

---

**ექიმი ა. ი. აშიანცი** ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საუნივერსიტეტო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—33.—11)

**ექიმი** ქუთაისში **მ. წერეთელი** იღებს მინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —129 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ).

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მელიქოვისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—13)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს მინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახელიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **მ. ი. ბეგიაშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—20)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა** იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—43)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდ-როვის ქუჩა, სახლი N 14, თუმანოვისა. (0—586—42)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს მინაგან, სამარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლეგამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (25—6.—3)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (ხიფილისი, სუსუნატი, სამარდე შილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—84)

**სამკურნალო** ქუთაისში, **ქირურგიული და დედათა სნეულებისა,** მუდმივი საწოლებით, ტერაპევტიულ განყოფილებით და მოსალოგინებელ ოთახით **ექიმის ივ. ბოკერიასი** (გიმნაზიის ქუჩა, პრინცესა მიურატის სახლი, სადაც წინად ს. თოფურიას სამკურნალო იყო).

**ექიმი ვალ. ლორთქიფანიძე**—მინაგანი, ბავშვების და ნერვების სნეულებით ავად. დილით 9—1 და საღამოთი 4—6 ს.

**ექიმი ივ. ბოკერია**—ქირურგიული, ქალის, ვენერიულ და კანის სნეულებით ავად. დილით 9—1 ს. და საღამოთი 4—6 ს. **რჩევა ათი შაური.**

კონსულტაცია და ოპერაცია შეთანხმებით. მძიმე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. (25—6.—7)

---

**საარტისტო საზოგადოების საკონცერტო დარბაზი.**

შაბათს, 6 დეკემბერს 1908 წ. რუსულ ოპერის არტისტი

**ვანო სარაჯიშვილი** გამართავს მხოლოდ ერთს

## კონცერტს

ტფილისის ქართულ საზოგადოების **სამუსიკო სკოლის** სასარგებლოდ.

კონცერტში გარდა სარაჯიშვილისა მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი თ. ძნელაძე, ე. ა. ხავიცკაიასი და ე. ვ. ფოგელისა და ბ-ნნი: ამალინი, შეპუევი და ხზვანი.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

ბილეთები 75 კ. 3 მანეთამდე იყიდება არტისტიულ საზოგადოების თეატრის კასაში. (3—6.—2)

---

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

პარასკევს, 5 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება

## „სიყვარულის ღამე"

მონაწილენი: ქ-ნნი არდი, კალინინა მეორე, ოსიპოვა, ფერრარი, ხასლავსკაია; ბ-ნნი ევლახოვი, როზანოვი, სერგეევი, ულუხანოვი, ლიუტჩევი და სხვ.

**დირიჟორი ი. პ. ფალიაშვილი.** **რეჟისორი ც. ურბანი.**

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 6 დეკემ. გალა—„ჟიზნ ზა ცარია". ფასი ჩვეულებრივია. 9 დეკემბერს ბენეფისი ოსიპოვისა.

---

## აკაკის საიუბილეო დღესასწაული ჭიათურაში

7-ს დეკემბერს 1908 წ.

**1. პარაკლისი**

სადგურზედ დილის 11 საათზედ (საზოგადოებას დაურიგდება აკაკის წიგნაკები). გამგე **გ. ჭუმბურიძე.**

**2. დილა**

თეატრის დარბაზში პარაკლისის შემდეგ (საზოგადოება გაემართება პარაკლისის შემდეგ თეატრში). გამგე **ვ. გომელაური.**

**3. საღამო**

ადგილობრივ თეატრში გაიმართება: აპოთეოზი და წარმოდგენილი იქნება აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი". რეჟისორი **ს. ტარუაშვილი.**

წარმოდგენის წმინდა შემოსავალი და დია წერილების შემოსავალი გადადებულია აკაკის ფონდისათვის. **საიუბილეო კომიტეტი.** (3—6.—2)

---

**კავკასიის სამკურნალო წყლების გამგეობა**

აუწყებს ბ-ნთ მომხმარებელთ, რომ მან ტფილისში გახსნა სახაზინო საწყობი კავკასიის ბუნებრივ სამკურნალო წყლების

## ნარზანის და ესენტუკისა № 20

სასახლის ქუჩა, სახლი სარაჯიშვილისა, რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კანტორა. ტელეფონი № 148.

Дворцовая улица, д. Сараджева, контора Россійскаго Транспортнаго и Страховаго Общества. Телефонъ N 148.

**ფასები საწყობში:**

ვაგონობით (120 ყუთი) . 1 მ. 80. კ. ყუთი
ყუთობით (100 ნახ. ბოთლი) 12 მ. 30 კ. „
ნახევარ-ბოთლებით ჭურჭლიანად 14 კ.—

(12—5—8) დირექტორი **ს. ტილიჩეევი.**

---

## ნადიმი

(სადღესასწაულო სადილი)

## აკაკის პატივსაცემლად

ორშაბათს, 8 დეკემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე. მიხეილის ქუჩა, „ნემეცების კლუბში".

მსურველთ შეუძლიათ ადრევე ჩაეწერონ წერა-კითხვის საზოგ. კანცელარიაში და „ზაკავ. ობოზრ." რედაქციაში. ((4—519—2)

---

კვირას, 7 დეკემბერს, გამოვა საიუბილეო სურათებიანი ნომერი

## „ფასკუნჯი"-სა

შინაარსი: *** განდეგილისა.—ცხადი სიზმარი, ა. მანმიაშვილისა.—აკაკი, ფანცხავასი.—წერილი, ნინო ნაკაშიძისა.—აკაკის, დუტუ მეგრელისა.—აკაკის, ნინა ლომაურისა.—აკაკი წერეთლის ოპტიმიზმი, გ. აბაშიძისა.—„არ მომკვდარა", სილოვანისა.—აკაკი და ილია, გრ. რობაქიძისა.—„სალამი", ბაჩანასი.—ერთგვნული მხარე აკაკის პოეზიისა, გ. ჯავახიშვილისა.—„მოგონებიდან", არ. ქუთათელაძისა.

სურათები: აკაკი ახალ-გაზრდობაში, აკაკი ამ დღეებში ჭადაღებული, ი. ნიკოლაძის აკაკის ბიუსტი და დაგვირგვინებული აკაკი, ხანდროს ნახატი. (2—უ.—1)

---

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

**ფეხსაცმელების სახელოსნო**

ვამზადებთ ყოველნაირ საქონელს შეღავათიან ფასებში, ვასრულებთ სუფთად, მაგრად და დანიშნულ ვადაზე. ვკისრულობთ სრულ პასუხისმგებლობას.

ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ხითაროვისა, N 28.

პატივისცემით

(20—6.—4) **ივ. ხვ. ბერძნიშვილი.**

ცუდი საქონლის პასუხისმგებელი / ყოველ საქონელზე პასუხისმგებელი

---

## აკაკის საიუბილეო კომიტეტი

**ამით საყოველთაოდ აცხადებს:**

1. აკაკის დღესასწაული დანიშნულია დეკემბრის 7-ს და დაიწყება დილის 10 საათზე.

2. დეპუტაციებმა ახლავე უნდა აცნობონ მთავარ კომიტეტს ჩამოსვლის შესახებ (ვინ და რამდენი კაცისაგან იქნება დეპუტაცია), რომ ამის მიხედვით შემუშავდეს წესრიგი.

3. დეპუტაციებმა 6 დეკემბერს წ. კითხვის საზოგადოებაში უნდა მიიღონ შესასვლელი ბილეთები.

4. აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული ავტორის ბიოგრაფიით და სურათით (64 გვ.) დაეთმობა ადგილობრივ კომიტეტებს 1 კაპეიკ ნახევარათ ცალი. ამის მიხედვით ახლავე უნდა მოიწერონ კომიტეტებმა, თუ ვის რამდენი უნდა წიგნი და ხვედრი ფულიც გამოგზავნონ.

5. ღია ბარათი აკაკის სურათით ცალი ღირს ორი კაპ.

6. აკაკის ფოტოტიპიური სურათი 30—40 სანტ.) გაიყიდება ცალი 40 კ.

7. აკაკის სულ დიდი სურათი გასაყიდად არ მოიპოვება და ვისაც სურს საგანგებოდ უნდა შეუკვეთოს ფოტოგრაფიას. (6—უ.—5)

---

## ტფილისი, 5 დეკემბერი.

ტფილისის გაზეთებმა გუშინ ერთი მეტად საყურადღებო ცნობა მიაწოდეს მკითხველ საზოგადოების. ცნობა შეეხება მიწათ-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულის თანამდებობას. ეს თანამდებობა აქამდე ბ-ნ მედვედევს ჰქონდა ჩაბარებული; ეხლა ის სამსახურიდან გადადგა და იმის ადგილას, გაზეთების ცნობით, ბ-ნ არხიპოვის დანიშვნას აპირებენ. მკითხველმა შეიძლება იფიქროს, განა სულ ერთი არ არის ბ-ნი არხიპოვი იქნება მინისტრის რწმუნებული თუ ბ-ნი მედვედევიო. გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ მათ შორის დიდი, თუ გნებავთ, პოლიტიკური განსხვავებაა და ეს განსხვავება შეეხება იმ საკითხს, რომელიც ყველა სხვა საკითხზე საჭირ-ბოროტო და მწვავე საკითხია ამიერ-კავკასიისათვის საერთოდ, ხოლო განსაკუთრებით კი საქართველოსათვის. მედვედევი და არხიპოვი—ორს, დიამეტრალურად ერთი მეორის საწინააღმდეგო სისტემას გულისხმობენ ამიერ-კავკასიის საადგილ-მამულო საკითხის საქმეში საყურადღებო იმ ფაქტში, რომ ბ-ნ მედვედევის ადგილას ბ-ნ არხიპოვს ამწესებენ, სწორედ საადგილ-მამულო საკითხის პოლიტიკაა.

ბ-ნს მედვედევს ხელ-მიწვენით ჰქონდა შესწავლილი ამიერ-კავკასიის მიწის საქმის ისტორია და ეხლანდელი მდგომარეობა; იგი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ რუსის მთავრობის მოხელეები მთელის ერთის საუკუნის განმავლობაში ამიერ-კავკასიის ადგილობრივ მკვიდრთა საადგილ-მამულო ურთი-ერთობას სისტემატიურად რღვევდნენ და ამახინჯებდნენ, ვითომ რაღაც უმაღლეს პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო; რომ ამ მოხელეთა წყალობით, ამიერ-კავკასიელთ მრავალი უსამართლობა განიცადეს, დიდძალი მამა-პაპეული ადგილი დაჰკარგეს უცხო ქვეყნებიდან მოსულთა სასარგებლოდ და რომ ეხლა საჭიროა, ერთის მხრივ ისტორიულ უსამართლობათა გასწორება წართმეულ მიწების დაბრუნებით, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ხოლო მეორეს მხრივ კი უკუგდება უკანასკნელ დროს წინ წამოყენებულ გეგმისა კავკასიაში თავისუფალ მიწის ფონდის შექმნის შესახებ რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის. ბ-ნი მედვედევი, რა თქმა უნდა, არც ამიერ-კავკასიურ ნაციონალიზმით იყო გამსჭვალული და არც „რუსულ საქმის" მტერი იყო, მაგრამ მას სიმართლის გრძნობა და საქმის ცოდნა ალაპარაკებდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის ბ-ნს მედვედევს 1900 წლის იმ ჰუმანურ საგლეხო კანონის შემუშავებაში, რომელსაც ამიერ კავკასიის სახაზინო გლეხები სამაგალითო ალტაცებით დაჰხვდნენ და რომლის წინააღმდეგაც შარშან ზაფხულს ასტეხეს ომი ტფილისის პროვინციალურმა ბიუროკრატებმა. ბ-ნ მედვედევის ღირსების და მნიშვნელობის გაზვიადება არა გვწადიან; ვინც იმის სამეცნიერო და სახელმწიფო მოღვაწეობას ახლო გაეცნობა, ჩვენსავით დარწმუნდება, რომ იგი ამიერ-კავკასიისთვის იშვიათი და ძვირფასი სახელმწიფო მოღვაწე იყო.

ბ-ნ მედვედევს, როგორც მიწადმოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულს, დიდი გავლენა ჰქონდა ამიერ-კავკასიის საადგილ-მამულო საქმის პოლიტიკაზე. ეხლა იმის ადგილზე ბ-ნს არხიპოვს აყენებენ. ბ-ნმა არხიპოვმა უკვე საკმაოდ ისახელა თავი ჩვენს ქვეყანაში თავის მოღვაწეობით როგორც გადმოსახლების კომისიის თავმჯდომარემ. ბ-ნს არხიპოვს, როგორც ამბობენ, დიდი გავლენა აქვს საგლეხო ბანკის ადგილობრივ განყოფილების მოქმედებაზედაც. გეგმა იმის საადგილ-მამულო პოლიტიკისა ყველასათვის ცხადია. ამ გეგმით მთავრობამ ამიერ-კავკასიაში უნდა აღმოაჩინოს თავისუფალი ადგილები რუსეთიდან გადმოსახლებულთათვის, ე. ი. უნდა მოახდინოს სასწაული, რადგან ნამდვილად ჩვენში თავისუფალი ადგილები სულ არ არის. ადვილი მისახვედრია, რა იარაღი იქნება ნახმარი ამ სასწაულის მოსახდენად. ეს იარაღია—მრავალჯერ ნაცადი ადმინისტრატიული შევიწროვება ადგილობრივ მკვიდრთა და მათ მიერ ოფლით მორწყულ მიწების გამოცხადება თავისუფალ საადგილ-მამულო ფონდად. ამ პროექტს, როგორც ქართველმა საზოგადოებამ იცის, ბევრი მომხრე ჰყავს პეტერბურგში, აქ კი ბ-ნი არხიპოვია მისი დედა-ბოძი. აი, ვინ იყო აქამდე სახელმწიფო მიწების უფროსი გამგე ამიერ-კავკასიაში და ვის დაყენებას აპირებენ იმის ადგილას ეხლა.

ორიოდე თვის წინად, როცა ნამესტნიკი პეტერბურგიდან ამიერ-კავკასიაში ბრუნდებოდა, ამბობდნენ, ეს ფაქტი იმის ნიშანია, რომ ნამესტნიკის ლიბერალურმა პოლი-

ტიკამ გაიმარჯვოს. რეალური ნაყოფი ამ გამარჯვებისა ჯერ არავის არ უნახავს და ისეთი ამბები კი, როგორც ბ-ნ არხიპოვის დანიშვნა იქნება სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულად, ქვეყანას დაანახვებს, რა უნიადაგო და რა წინასწარი ყოფილა ჩვენებურ ოპტიმისტების წარბ-შეუხრელი იმედიანობა. რამდენისამე დღის წინ გაზეთი „რუსსკ. ვედომ." სწერდა, კავკასიის ნამესტნიკის აზრით ამიერ-კავკასიაში რუსეთიდან ხალხის ჩასახლებისთვის თავისუფალი მიწები არ მოიპოვება და ამიტომ გადასახლების პოლიტიკას ისეთი შინაარსი უნდა მიეცეს, რომ ადგილობრივმა მკვიდრმა გლეხებმა ნებაყოფლობით გაჰყიდონ თავიანთი მიწები; თუ მიწების გაყიდვა დაიწყო, მაშინ მთავრობას სხვა და სხვა საშუალებით შეუძლიან ეს მიწები რუსეთიდან გადმოსახლებულთ ჩაუგდოს ხელში. აქედან მხოლოდ ის სჩანს, რომ კავკასიის ნამესტნიკიც რუსეთიდან გადმოსახლების მსურველი ყოფილა, თუმცა მას ამ სურვილის ასრულება მძიმე საქმედ მიაჩნია. როგორც ბ-ნს არხიპოვს, ისე კავკასიის ნამესტნიკს აინტერესებთ არა ადგილობრივ მკვიდრთა უზრუნველყოფა მიწით, არამედ რუსეთიდან გადმოსახლების მოწყობა. პრინციპიალურად მათ შორის სრული თანხმობაა და სწორედ ამიტომ არც გაგვიკვირდება, რომ გამართლდეს გაზეთების ცნობა, ბ-ნს მედვედევის მოადგილედ ბ-ნი არხიპოვი დაინიშნებაო.

## აკაკის იუბილეი

**„მრავალ-ჟამიერ".** მოგვივიდა პირველი გამოცემა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებისა „მრავალ-ჟამიერ", დაწერილი აკაკი წერეთლის იუბილეის სახსოვრად, თხზულება ზ. პ. ფალიაშვილისა. ეს ახალი ნაწარმოები შესრულებული იქნება ორკესტრით და ფილარმონიულ საზოგადოების ხოროთი იუბილეის დღეს.

—

**წმ. ნინოს სასწავლებელი.** ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებლის ქართველი მოწაფენი მართავენ აკაკის საიუბილეო დილას. მოწაფენი წაიკითხავენ აკაკის ლექსებს, გუნდი იმღერებს რამდენსამე სიმღერებს აკაკის ლექსებზე ზ. ი. ჩხიკვაძის ლოტბარობით. დღე ამ დილის გამართვისა ჯერ არ არის გადაწყვეტილი, რადგან ამ დილის მეთაურთ და მოწაფეთ სურთ მოიწვიონ თვით პატივცემული იუბილიარი აკაკი.

—

**მესაზანდრეები.** მეთარე სანდრო მარტიროზოვს, მექიანურე იაგორ ტერ-არუთინოვს, მომღერალს ავეტიქ ვარლამოვს და არშაკ ოგანოვს უთხოვნიათ მთავარ-კომიტეტისათვის, გადავწყვიტეთ თარის დაკვრით პატივი ვცეთ მგოსანსაო.

—

**ორი ლექცია.** შაბათს, 6 დეკემბერს, ძმათა ზუბალაშვილების სახელ. სახალხო სახლში (ველიკოკნიაჟ. ქუჩა), დილის 11 საათზე, ილია ნაკაშიძე წაიკითხავს რუსულად საჯარო ლექციას აკაკი წერეთლის პოეზიის შესახებ (ბიოგრაფია, ლირიკული პოეზია, სატირა და ჰუმორი). იმავე სახლში, ნაშუადღევის 12 ნახ. საათზე, გრიგოლ რობაქიძე წაიკითხავს რუსულად ლექციას: „აკაკი წერეთლის შემოქმედება. შესვლის ფასი თვითეულ ლექციაზე 5 და 10 კაპ.

—

**კახეთი.** კახელებსაც გადაუწყვეტიათ მონაწილეობა მიიღონ მგოსნის აკაკი წერეთლის საიუბილეო დღესასწაულში. კახეთში დეპუტატებად აურჩევიათ ვ. ი. რცხილაძე, სილ. და ივ. ჰავჰავაძენი, ს. რ. ვახვახიშვილი, ექ. ცისკარაშვილი, ექ. კახიძე და სხვანი, სულ 12 კაცი.

—

**მოსწავლეების შესახებ.** მოსწავლეებს, მზრუნველის განკარგულების ძალით, არ შეუძლიანთ აქტიური მონაწილეობა მიიღონ აკაკის იუბილეიში, ე. ი. სცენაზე მიულოცონ და ადრესები წაიკითხონ.

—

**სას.-სამეურნეო საზოგადოება.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ 3 დეკემბრის სხდომაზედ აირჩია ვ. ი. რცხილაძე და ა. ს. ფირალოვი და დაავალა მათ მიულოცონ მგოსანს.

—

**დ. ნაოღალევი.** 9 ნოემბერს აქაურ ორ-კლასიან სკოლის დარბაზში მოხდა კრება. კრებას დაესწრნენ აქაური ინტელიგენცია, სამღვდელოება, ვაჭრები და გლეხობა. კრების საგანს შეადგენდა აკაკის 50 წლის იუბილე. კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა შემდეგი პროგრამა: 1. 7 დეკემბერს, ნაშუადღევის ორ საათზედ, სკოლის საგანგებოდ მორთულ დარბაზში, ახლო-მახლო მდებარე სკოლების მოსწავლეთა, მასწავლებელთა და საზოგადოების თანადასწრებით გადახდილ იქნას პარაკლისი; 2. წაკითხულ იქნას აკაკის ბიოგრაფია; 3. მოსწავლეებმა წაიკითხონ აკაკის ზოგიერთი ლექსი და იმღერონ სიმღერები. 4. საღამოთი გამართულ იქნას წარმოდგენა აკაკის პიესიდან; 5. შესდგეს კერძო გუნდი მომღერლებისა; 6. დაარსდეს აკაკის სახელობაზე წიგნთ-საცავი და უფასო სამკითხველო; 7. დაერქვას სავვარეთ სკოლას აკაკის სახელი და გაიხსნას იგი ამ დღეს; 8. მოეთხოვოს ტფილისის მთავარ კომიტეტს, გამოგზავნოს აკაკის წიგნი ხალხში უფასოდ დასარიგებლად. **ჭ.**

—

**ქ. შუშა.** შუშელი ქართველებიც გამოეხმაურნენ აკაკის იუბილეს. შეიკრიბნენ და დაადგინეს: 1. შეიკრიბოს ფული და გამოიცეს აკაკის სახელობაზე დაარსებულ ფონდს გასაძლიერებლად; 2. 7 დეკემბერს გაიგზავნოს დეპეშა შესაფერის შინაარსით; 3. ამავე დღეს, თუ მოხერხდა, გადახდილ იქმნას პარაკლისი ქართულ ენაზე.

ამავე კრებაზე გადასწყვიტეს და ბევრმაც სიამოვნებით მიიღო წინადადება წ. კ. გ. საზოგადოების წევრობისა მომავალ 1909 წლიდან. **ლარი.**

—

**ხაშური.** 30 ნოემბერს სადგურ მიხაილოვოში, კერძო პროგიმნაზიის შენობაში, შესდგა ადგილობრივი კომიტეტი საიუბილეო დღესასწაულის პროგრამის შესამუშავებლად და აგრედვე დეპუტატების ასარჩევად ტფილისში გასაგზავნად. კომიტეტმა, თავ. გ. დ. [illegible] ადგინა: არჩეულ იქმნას ორი დეპუტატი ტფილისში გასაგზავნად, გამართული იქმნას შვიდს დეკემბრს სალიტერატურო დილა, რომელზედაც საზოგადოებას გააცნობენ აკაკის ბიოგრაფიას; იმავე დღეს დაიდგას აკაკის „პატარა-კახი" და შემოსავალი ფული მოხმარდეს აკაკის სახელობაზედ დაარსებულ ორ სტიპენდიას. დეპუტატად არჩეულ იქმნენ თ. გ. დ. ვეზირიშვილი და ა. ხატისოვი. **კ.**

## ყველას, ვისაც უყვარს ილია ჭავჭავაძე

ჩვენმა საყვარელმა მგოსანმა და მასწავლებელმა ილია ჭავჭავაძემ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზდამ დასწერა მოთხრობა „სახრჩობელაზე", სადაც მთელის თავის სულიერი ძალ-ღონით გამოაცხადა პროტესტი სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ხელოვნურად, გულის ტკივილით მოგვითხრო მან ორ უბედურ ბუნებით კეთილი ძმის ამბავი. ცხოვრების უკუღმართობამ, სილატაკემ და გონების განუვითარებლობამ ერთი სახრჩობელამდის მიიყვანა და მეორე ისე გააბოროტა, რომ სახრჩობელის მოლოდინში განაგრძობდა თავის ბოროტ საქმეებს. ამ მოთხრობაში ცხადად დაგვანახვა მწერალმა, რომ სიკვდილით დასჯა ერთი უსაშინელესი, უაზრო, უსამართლო იარაა თანამედროვე ცხოვრებისა, რომელსაც ყოველი ადამიანი აღშფოთებით და ზიზღით უნდა უცქეროდეს და მთელი თავის ძალ-ღონით ებრძოდეს. მართლაც, ილია მთელ თავის ნაწერებში ებრძოდა ამას, ებრძოდა ცხოვრების სისასტიკეს თავის ჰუმანიურ ქრისტიანულ იდეების ქადაგებით, იმ ქრისტეს იდეების ქადაგებით, რომელიც, ჯვარზე მილურსმული, გულის ტკივილით და სიბრალულით გამსჭვალული იმათდამი, ვინც იგი ჯვარს აცვა, ლოცულობდა: „უფალო, შეუნდე, რათა არ უწყიან, რასა იქმონ". ღრმა მოხუცებულებამდის შეინარჩუნა ჭავჭავაძემ ეს რწმენა, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ იმისი პროტესტი ისმოდა სახელმწიფო საბჭოშიაც.

და, აი, მოგვიკლეს საყვარელი მწერალი, მოგვიკლეს მოხუცი, სწორედ იმ დროს, როცა სამართლით მას ჩვენგან, ქართველებისაგან, უნდა ეღირსებოდა მშვიდობიანი, მხიარული და სიყვარულით გაშუქებული ცხოვრება. ამ დროს გამოსალმეს იგი წუთი-სოფელს ცხოვრების უკუღმართობისაგან დამახინჯებულმა უვიცმა, შეუგნებელმა ადამიანებმა, ჩვენისავე მიწა-წყლის შვილებმა, რომელთაც ტყვიით განგმირეს ილიას გული და ამავე დროს ზნეობრივად მოჰკლეს ჩვენი გულიც, როცა ილიას სხეულს ფეხებით სთელავდნენ, სთელავდნენ ჩვენს საუკეთესო გრძნობასაც, მათდამი ძმურ სიყვარულს. იმათ არ დაგვინდეს და მთელ ქართველობას, ყველას ვისაც ისე გვიყვარდა მგოსანი და მოაზრე ჭავჭავაძე, საშინელი, ენით გამოუთქმელი მწუხარება და შეურაცხყოფა მოგვაყენეს.

მაგრამ ნუ თუ ჩვენთვის იმის მკვლელების სიკვდილით დასჯა სასურველია, ნუ თუ ჩვენ გულს მოჰფენს რამე შვებას, შეუმსუბუქებს იმ დარდს, შეუვსებს იმ დანაკლისს, რომელსაც განვიცდით ილიას დაკარგვით? ნუ თუ ჩვენ, ქართველებს, დაგვამშვიდებს იმათი დასჯა, როგორც სთქვა სამხარეთში მთავრობის წარმომადგენელმა, სიკვდილით დასჯის მომხრემ?

არა და არა, არასოდეს! პირიქით, ჩვენ, ქართველები, უნდა ვეცადნეთ, უნდა მოვითხოვოთ არ დასაჯონ სიკვდილით მკვლელები. ვეცადოთ იმიტომ, რომ ილია წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა და იმის მისწრაფება ამ მხრივ, თუ მართლა გვიყვარს მისი იდეები, ჩვენთვის კანონი უნდა იყოს. და მეორეც იმისთვის, რომ ილიას წმინდა ხსოვნას ჩვენ გულში არ უნდა დასდევდეს სამი სახრჩობელაზე ჩამოკიდებული აჩრდილი იმ უბედურ ცხოვრებისაგან გარიყულ ადამიანებისა, რომელთა მსგავსის სიბრალულით ისე უსაზღვროდ იყო გამსჭვალული მისი მოსიყვარულე გული და იმიტომ კიდევ, რომ ის, რაც მოიქმედეს შეუგნებლად ვერაგმა, ბრიყვმა ადამიანებმა, ჩვენ შეგნებულად უნდა წინააღუდგეთ იმ ნაირსავე მოქმედებას და არ წავართვათ დამნაშავეთ ის ძვირფასი განძი სიცოცხლე, რომელიც მათ მიანიჭა განგებამ, რომელიც მათ მოამწყდიეს თავის „ცოდვილ" სხეულის ჩარჩოში და აქამდის ბოროტად გამოიყენეს. შეუნდოთ იმათ, ვინაიდგან არ [illegible] ტომ კიდევ, რომ ეს იქნებოდა ჩვენი საყვარელ მგოსნის სურვილიც. ქართველებო, ახლა გამოჩნდება რამდენად ჩასწვდა ჩვენი გულის სიღრმეს საზოგადოდ ილიას ნაწარმოების ჰუმანიური ძალა და განსაკუთრებით მოთხრობაში „სახრჩობელაზე" გამოთქმულმა იდეამ რა გრძნობები დასთესა და რა სულიერი სიმშვენიერე აღმოაცენა.

დიახ, დიდი საქმეა მიტევება და ზრუნვა იმისთვის, რომ ასე სასტიკად არ დასაჯონ მკვლელები, მაგრამ ეს ჩვენი მოვალეობაა და ესევე უნდა ვთხოვოთ ჩვენ საყვარელ მგოსნის ერთგულ მეუღლეს, რომელიც უნდა დაგვეხმაროს ამ საქმეში. **ნინო ნაკაშიძე.**

## სახელმწიფო სათათბირო

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**კამათი სასამართლოს შესახებ**

სამ დეკემბრის სხდომაზე სათათბიროს წარედგინა პროექტი ზოგიერთ სასამართლო დაწესებულებათა შტატების გაძლიერების შესახებ. სათათბიროს კომისია თანახმაა მთავრობის პროექტისა და თან აღნიშნავს კომერციულ სასამართლოთა რეორგანიზაციის საჭიროებას. სხვა და სხვა ფრაქციების წარმომადგენელნიც ეთანხმებიან კომისიის წინადადებას. **პურიშკევიჩი** ამასთანავე აცხადებს, საკომერციო სასამართლოებში ვექილებათ ბევრი ებრაელია და უნდა მიღებულ იქნას ღონე მათ გასაძევებლადაო. **ლიახნიცკი** აღნიშნავს, რომ საჭიროა სასამართლო პალატების განთავისუფლება პოლიტიკურ საქმეების განხილვისაგანაო; ეს საქმეები ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ უნდა არჩიოსო. კამათი დასრულდა. წარადგინეს ორი ფორმულა—ერთი მემარჯვენეებმა, მეორე ოქტომბრისტებმა. მემარჯვენეთა ფორმულა ამბობს, რომ სასამართლო უწყებაში ბევრია ისეთი მსახური, რომელნიც მთავრობის საწინააღმდეგო პარტიებს ეკუთვნიან და საჭიროა ამ პირთაგან განთავისუფლდეს სასამართლოო. ფორმულის წინააღმდეგ ენერგიულ პროტესტს აცხადებს იუსტიციის მინისტრი **შჩეგლოვიტოვი**, რომელიც ამბობს, რომ სასამართლოში პარტიები არაა, იქ ყველა მიუდგომლად [illegible] მართლ-მსაჯულების საქმესაო. პურიშკევიჩი თავის ადგილიდან ყვირის: პარტიების კაცები არიან სასამართლოშიო. მინისტრი შენიშნავს: თუ სათათბიროს წევრებმა იციან ეს, დაასახელონ. პურიშკევი-

## ფელეტონი

## რუსთა შორის

არაკი ეშმაკის განდევნაზე.—მესამე სათათბირო და უებარი წამალი ლოთობის მოსასპობად.—ბოქაულის მუშტები და ხიზნის გვერდები.—მოხელეთა ემირი ჯიბე და თითზე გამოყვლეფილი ხალხათი.—ჭეშმარიტი და არა ჭეშმარიტი გუბერნატორი.—ყველაფრის დაცემა დაქვეითება.—მავ.რაზმელთა თარეში.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი კი რა იქნებოდა, იყო ერთი მღვდელი, სახელად ლეგიონი. ეს მღვდელი სასწაულთ-მომქმედი იყო. სხვა ღირსებასთან ერთად სულით ავადმყოფ ხალხიდან ეშმაკებსაც ერეკებოდა. გაიგეს რა ასეთი ამბავი, მღვდელს აუარებელი ხალხი მოაწყდა, განსაკუთრებით ნერვებით ავადმყოფი ქალები. ნამეტნავად სოფლის ხალხი აწუხებდა სულიერ მამას. სულიერი მამა ფულის მოყვარული იყო, მაგრამ ეს მაინცა და მაინც საძრახისი არ არის. ისიც ადამიანი იყო და მოგეხსენებათ ადამიანის ლტოლვილება ფულისადმი. ფულს ვილა ჩიოდა, ოღონდ მოერჩინა.

ერთ დღეს სულიერ მამას დარია ივანოვნა და ივან ივანიჩი ეწვივნენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ივან ივანიჩი არყის მოყვარული იყო და ძალიან „ხუხამდა", დარია ივანოვნა-კი ნერვებით ავადმყოფი გახლდათ. სულიერმა მამამ ამოსოვმა (ასეთი გვარი ჰქონდა მღვდელს) დარია ივანოვნა და ივან ივანიჩი გრძელ სკამზე დასხა. მღვდელმა ჯერ პარაკლისი გადაიხადა და მერე ეშმაკის განდევნას შეუდგა. პარაკლისის დროსვე შეეტყოთ დარია ივანოვნას და ივან ივანიჩს, რომ მართლა ეშმაკი ჩასძრომოდათ. ნამეტნავად ივან ივანიჩი ბორგავდა, რაღაცეებს ყვიროდა და ხელებსა და ფეხებს აპარტყუნებდა, თუმცა ამბობდნენ, რომ არაყ გადაკრულიაო, მაგრამ ეს სულ მოცლილი ხალხის ჭორები იყო. არც დარია ივანოვნა იყო ჩუმად, იმასაც ეტყობოდა, რომ რაღაც აწუხებდა. პარაკლისის შემდეგ მღვდელმა ეშმაკს წყევლა-კრულვა დაუწყო. ეს კი ვეღარ მოითმინეს ეშმაკით შეპყრობილებმა და გულ-შემზარავი ყვირილი მორთეს. საქმე გაჭირა უფრო დარია ივანოვნამ, არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ იატაკზე გაიშხლართა. ამის შემდეგ ამოსოვმა საკურთხევლიდან ორი წითელი სანთლის ნამწვი გამოიტანა, ხელი მოჰკიდა იატაკზე მწოლარე ქალს და დაიწყო ეშმაკის განდევნა. მღვდელი სხვა და სხვა კითხვას აძლევდა ეშმაკს, ეშმაკის მაგიერ დარია ივანოვნა აძლევდა პასუხს.

— რა გქვიან შენ?—შეეკითხა მღვდელი ეშმაკს.

— დანილკა.

— რამდენი ხართ?

— ერთი.

— დიდი ხანია მანდა ხარ?

— მეათე კვირაა.

— კიდევ დიდ-ხანს დარჩები?

— უკანასკნელი დღეა.

— მერე სად წახვალ?

— დუნკასთან.

— ვინ არის ეს დუნკა?

აქ-კი ეშმაკმა პასუხი აღარ მისცა. ალბად ლაპარაკი მოსწყინდა. დარია ივანოვნა თავის თავგადასავალს მოუყვა მღვდელს. უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ამბავს, დარია ივანოვნასა და ივან ივანიჩის გარდა, სხვაც ბევრი დაესწრო. ესენი დარია ივანოვნას ნალაპარაკევს სულგანაბულნი უგდებდნენ ყურს. როცა ქალმა ლაპარაკი გაათავა, მღვდელმა ისევ ეშმაკს მიმართა. ეშმაკის მაგიერად ისევ ქალი ლაპარაკობდა.

— დაიკარგე, უწმინდურო სულო, თავი დაანებე ღვთის მონას დარიას!

— წავალ.

— როდის?

— ხვალ.

— რატომ ეხლა არა?

— აქ ძალიან კარგადა ვგრძნობდი თავს.

— დაიკარგე!

— წავალ, წავალ, ოღონდ ნუ მტანჯავ.

ამის შემდეგ მღვდელმა ამოსოვმა აიღო ხატი და დააბერტყა დარია ივანოვნას, მერე წმიდა წყალი დაალევინა და ზეთი წაუსვა სახეზე. ესევე მოექცა ივან ივანიჩს. არ გასულა ერთი დღე, რომ დარია ივანოვნა და ივან ივანიჩი მშვენივრად ჰგრძნობდნენ თავს. წავიდნენ თავიანთ სახლში და ღმერთთან ერთად მღვდელ ამოსოვის სახელს ადიდებდნენ. ამან სახელი გაუვარდა ამოსოვს და ამის შემდეგ მღვდლის ჯიბე...

მართლა ეს ამბავი არაკი კი არ გეგონოს, მკითხველო. რის არაკი, ნამდვილი ამბავია, ბეჩავ რუსეთის ეხლანდელ ცხოვრების პირმშო შვილია. არაკის ხასიათი თუ მივეცით, მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელი დასაჯერებელია. ან კი როგორ უნდა დაიჯეროს ჰკუათ-მყოფელმა კაცმა? მეოცე საუკუნე და ესეთი ამბავი? ხალხის ესე მოტყუება? მაგრამ რუსეთი, ხომ მეოცე საუკუნეში არა სცხოვრობს, ის ჯერ კიდევ მეთხუთმეტე საუკუნის ცხოვრებას მიაჩანჩალებს.

* *

მღვდელ ამოსოვის საქმე მაინცა და მაინც ისე გასაკვირველი არ არის.

იქნებ ერთი გაუნათლებელი კაცია, მაგრამ ამ სახელმწიფო სათათბიროს რაღა დაემართა? ოქტომბრისტები და „ჭეშმარიტი რუსები" კიდევ ბევრ რასმე დამართებენ სახელმწიფო სათათბიროს, თუ ჩვენი „ჩვენი ახირებული ამხანაგი" ცოცხალი იქნება. აბა გამოიცანით, ვინ არის „ჩვენი ახირებული ამხანაგი?". ჩვენი ამხანაგისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე, ოქტომბრისტი ხომიაკოვი-კი ასე მიესალმა... პურიშკევიჩს. ასეთი ამხანაგი ბევრით არაფრით არის სახარბიელო, ასე რომ ისევ ხომიაკოვსთვის დაგვილოცნია, ღმერთმა შეაბეროთ.

სახელმწიფო სათათბიროს ერთი მოქმედება უნდა აღგვენიშნა და პურიშკევიჩსა და ხომიაკოვზე-კი ჩამოგვივარდა ლაპარაკი. ესეც, უნდა მოგახსენოთ, რუსეთის ცხოვრების სიდუხჭირისაგან გამომდინარეობს. ისეთს ვერაფერს იტყვით, რომ შენიშვნა და განმარტება არ დაგჭირდეთ. ის, რაც მე უნდა მოგახსენოთ სახელმწიფო სათათბიროს უმრავლესობის დამახასიათებელია. სახელმწიფო სათათბირომ „ბევრი გააკეთა", მაგრამ ამისთანა საქმე კი ჯერ არა მგონია, რომ გაეკეთებინოს. იურიევის უნივერსიტეტთან სამრეცხველოს დაარსება თუ შეედრება ამას, თორემ სხვა ვერაფერი.

ეს საქმე გახლავთ ლოთობის მოსპობა. ღმერთო ჩემო! რამდენი თავი იმტვრია კაცობრიობამ, რომ ეს სენი მოესპო და მაინც ვერ მიაღწია თავის საწადელს. რამდენი შრომა და ცდა დახარჯულა ამ მხრივ და სულ ფუჭად ჩაუვლია. ბევრი, ძალიან ბევრი, მკითხველო.

იქნებ თქვენ გგონიათ, ლოთობა—ისეთი უბედურებაა, რომელსაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ხალხის ეკონომიურ და გონებრივ განვითარებასთან? გგონიათ, რომ ლოთობის მოსასპობად საჭირო იყოს ხალხის ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესება, მისი გონებრივი განათლება, წიგნ-საცავების, სამკითხველოების დაარსება და სხვა კულტურულ გასართობების მოწყობა? მესამე სათათბიროს აზრით, ამისთანა ზომები სულ ტყუილია. მას ლოთობის მოსასპობად მეტად მარტივი საშუალება გამოუძებნია, ისეთი მარტივი, რომ სწორედ გაკვირვებულია კაცი, როგორ მოხდა, რომ აქამდის, მთელი ოცი საუკუნის განმავლობაში ამ მარტივ საშუალებას არ მიმართეს. სწორედ გასაკვირველია, მაგრამ ბედმა მაინც პირველობა მესამე სახელმწიფო სათათბიროს არგუნა!

ლოთობის მოსასპობად საჭირო ყოფილა მხოლოდ... პრობკების მაგრად დაცობა, ისე რომ ბოთლიდან ხელით ამოცლა არ შეიძლებოდეს. ამაზე მარტივი საშუალება, მგონი, აღარ შეიძლება კაცმა მოიგონოს. რის „მგონი", ლოთობას პრობკების მაგრა დაცობით სპობთ და ჩვენ კიდევ მგონის ვხმარობთ! მხოლოდ ესეც კია, რომ ყველა გენიოსური აღმოჩენი მარტივი იყო: „მაგრა დაუცეთ ბოთლებს პრობკები, რომ უბურღოდ ბოთლის გახსნა აღარ შეიძლებოდეს და ლოთობაც მოისპობა". მარტივია და ნათელი: სანამ ლოთი ბურღს იყიდდეს ან ვისმეს გამოართმევდეს, ამის სურვილი უკვე დაეკარგება! ან კიდევ: განა არ შეიძლება ბურღები სულ მოსპონ კაცმა. ამ აზრს თუ მესამე სახელმწიფო სათათბიროს ეხლანდელი კომისსია დაადგა, განა სხვა კომისიების ამორჩევა აღარ შეიძლება? ისინი „შტოპორების" შოვნას გააძნელებენ ან კიდევ სულ მოსპობენ!! რომ ვეღარ გახსნიან, საიდანღა დალევენ?

ეს საშუალება რომ მარტივია. ამაზე ლაპარაკიც კი მეტია, მაგრამ ერთი რამ კი მაფიქრებს. უნდა მოგახსენოთ, რომ ლოთებმა ხშირად ბოთლის პირის დამტვრევა იციან, პრობკას მაინც და მაინც ბევრ ყურადღებას არ აქცევენ. თუ სახელმწიფო სათათბირო მარტივს საშუალებას იგონებს საკითხის გადასაწყვეტად, არც თუ ლოთები არიან ამას მოკლებულნი. ბოთლს ერთი ორჯელ კი ლასცხებენ ძირზე, რომ პრობკა ამოვარდეს, შემდეგ დაჰკრამენ სალოკ თითს ბოთლის პირს და მერე თუნდა სახელმწიფო სათათბიროს კომისიამაც ეძებოს, ვეღარ იპოვნის. ლოთი თუ ბოთლმა გააბრაზა, თქვენ მტერსა და დუშმანს რაც იმას დღე დაადგება. მგონი ეს არ მიუღიათ მხედველობაში, თორემ მაშინ რკინის ბოთლებს გააკეთებინებდნენ, თორემ ბოთლებზე ნოტაციების დაწერა ლოთს ბევრს არაფერს დააშლევინებს. თუ ღმერთი გწამთ, რომელი ლოთი იქნება, რომ ბოთლზე დაწერილი წაიკითხოს? ეს სახელმწიფო სათათბიროს კომისიას ჰკითხეთ.

მიუხედავად ამისა, სახელმწიფო სათათბიროს კომისიის მოსაზრებანი ეხლანდელ სათათბიროს უმრავლესობის საკანონმდებლო მუშაობას მშვენივრად ეწყობა: არავითარი რეფორმა არ არის საჭირო, ყველაფრის გაკეთება შეიძლება ძველი რეჟიმის ხელ-შეუხებლად, ყოველივე ეკონომიური და პოლიტიკური რე-

ჩი ყვირის: კიდეც დავასახელებო. ოქტომბრისტების მხრით **შიდლოვსკი** აცხადებს, რომ მემარჯვენეთა ფორმულის წინააღმდეგნი არიან. **კელეპოვსკი** (უკიდ. მემარჯვენე) ამბობს, სასამართლოში ბევრი კადეტია, მაგრამ [illegible] მათი განდევნა არ შეუძლია, რადგან ყუმბარების ეშინიაო. თავმჯდომარე აჩერებს. **პურიშკევიჩი** აცხადებს: ბევრი მოსამართლე ვიცით, რომელნიც კადეტთა პარტიას ეკუთვნიან. მაგალითად კიშინიოვის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე ლუკინი... თავმჯდომარე სიტყვას აწყვეტინებს: გთხოვთ გვარებს ნუ ასახელებთო. **პერგამენტი** (კ.-დ.) კმაყოფილებას აცხადებს მინისტრის სიტყვის გამო, რომ სასამართლო პარტიებს გარეშე სდგას და პროტესტს აცხადებს მემარჯვენეთა ფორმულის წინააღმდეგ. კამათი დასრულდა. მემარჯვენეთა ფორმულა უარ-ყოფილ იქმნა ყველა ხმებით წინააღმდეგ უკიდ. მემარჯვენეთა და უკამათოდ მიღებულ იქმნა ოქტომბრისტების ფორმულა, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი საკომერციო სასამართლოთა რეორგანიზაციის შესახებ. ბოლოს მთელი პროექტი დამტკიცებულ იქმნა.

**სალამი და მილოცვა**

წაკითხულ იქმნა სერბიის პარლამენტის სალამი რუსეთის სათათბიროსადმი და იმპერატორისადმი, რომელსაც ყველა დეპუტატები, გარდა ს.-დ. ოვაციებით ეგებებიან. შემდეგ, თავმჯდომარის წინადადებით, დაადგინეს მილოცვის დეპეშა გაეგზავნოს ოსმალეთის ახალ პარლამენტს, რომელიც გუშინ უნდა გახსნილიყო.

**კამათი სამხედრო უწყების შესახებ.**

სათათბიროს წარედგინა კანონ-პროექტი იმის შესახებ, რომ სამხედრო სამსახურის პირთა და მათ ოჯახებს საპენსიო უპირატესობანი მიენიჭოს, როცა ის პირნი დაზარალდებიან თანამდებობის ასრულების დროს. მომხსენებელს **სოკოლოვ** ეე-2-ს თაყვაუ ცნობა, რომ 1905 წ. სარევოლიუციო მოძრაობის დროს, მოკლულ და დაჭრილ იქმნა 305 ჯარის-კაციო. განა ამ მსხვერპლთ სამსახურის მოვალეობისას დახმარება არ ეკირვებათო?! **კუზნეცოვი** ს.-დ. ფრაქციის მხრით უარჰყოფს კანონ-პროექტს და ამას იმით ასაბუთებს, რომ მოხელენი და სამხედრო პირნი ულმერთოთ ექცევიან ტუსაღთო. **როზანოვი** (ტრუდოვიკი) ეხმრობა წინანდელ ორატორს და სხვათა შორის ამბობს, რომ ციხეებში ისეთებიც სხედან, რომელთაც ადამიანის ღირსებაზე უკეთესი წარმოდგენა აქვთ, ვიდრე ბევრს აქ მყოფთაგანსო. ეს სიტყვა დიდ ხმაურობასა და აღელვებას იწვევს მემარჯვენეთა მხრით; თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს. როზანოვი თავის სიტყვას ასე ათავებს: „ტრუდოვიკები კანონ-პროექტის წინააღმდეგ მისცემენ ხმას, რადგან კანონ-პროექტს საფუძვლად უდევს სიძულვილი და მტრობა და აგრეთვე ის სურვილი, რომ გაამართლონ ყოველივე სისაძაგლე, რომელიც საპატიმროებში ხდება. **კუზნეცოვი** (სოც.-დემ.) ამბობს, რომ ერთად-ერთი საშუალება საპატიმროების რეჟიმის გასაუმჯობესებლად ის არის, რომ ფული არ გადაედოთ. კრება შესწყდა. განახლებისას ლაპარაკობს კადეტი **კარაულოვი**, რომელიც ამბობს: ის, რაც სატუსაღოებში ხდება აუცილებელი შედეგია მთავრობის სისტემისა. საპატიმროების გავსება, საზარელი პირობები იქ ცხოვრებისა, ცუდი საჭმელი, სასტიკი მოპყრობა, შეგინება და შელახვა ადამიანურ ღირსებისა—ყველა ეს მხოლოდ ტერორს გამოიწვევს და სხვა არაფერს. კადეტთა ფრაქცია თავის მოვალეობად სთვლის, სასტიკი პროტესტი განაცხადოს იმ წესების გამო, რომელიც მთავრობამ გაამეფა საპატიმროებში. მაგრამ ყველა ამან მაინც ხელი არ უნდა შეუშალოს სახელმწიფოს თავისი მოვალეობა აასრულოს მოსამსახურეთა წინაშე: საჭიროა უზრუნველვყოთ მათი ოჯახები, ვინც სახელმწიფო სამსახურში დაიღუპნენო. კენჭის ყრის დროს კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა. წინააღმდეგნი იყვნენ ტრუდოვიკები და ს.-დემოკრატები.

სათათბირომ მოისმინა 38 წევრის წინადადება—გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განმარტების განხილვა. ეს განმარტება გამოიწვია შეკითხვამ, რომელიც შეეხებოდა გრადონაჩალნიკის მიერ პროფესორ პოგოდინის ლექციაზე (ბოსნიის შესახებ) კამათის აკრძალვას. **გეგეჭკორმა** გაკვირვება გამოსთქვა, რატომ არ უნდით ოქტომბრისტებს ამ საკითხის განხილვა: ყველა სახელმწიფომ უკვე გამოსთქვა თავისი აზრი საგარეო საქმეების შესახებ, დროა სათათბირომაც გამოსთქვას; ამას გარდა პოგოდინის ლექციაზე კრების თავისუფლებაც შელახაო. გრაფ ბობრინსკი მეორე (მემარჯვენე) ამბობს, მაგ საქმის გადადება იმიტომ მოვითხოვეთ, რომ არ გვინდა დაუკავშიროთ საკითხი, რომელიც ჩვენ ეროვნულ გრძნობას შეეხება, პოლიციურ საკითხსო. სათათბირომ შეიწყნარა 38 წევრის წინადადება.

**შეკითხვა კავკასიის შესახებ.**

მომხსენებელმა მატიუნინმა განაცხადა, რომ კამისიამ შესაძლებლად დაინახა, წარუდგინოს კავკასიის ნამესტნიკს შეკითხვა კავკასიაში ტერორისტულ აქტების შესახებაო. ნამესტნიკის მოადგილემ ბარონმა ნოლდემ დაწვრილებით განმარტა მთავრობის პასუხი ამ შეკითხვის გამო ნოლდეს განმარტება ხვალ იქნება დაწვრილებით გათავებული. კამათი ნოლდეს პასუხის გამო გადაიდო შემდეგ კომისისთვის.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** დაინიშნა თავრიზის პოლიციის უფროსი, რომლის განკარგულებაშიაც 400 შეიარაღებული კაცი იქნება.

ხმა დადის, რომ ამ დღეებში აქ ჩამოვლენ რახიმ-ხანი და სამ-ხან-სერდერუდი. ამათ ალყა უნდა შემოარტყან ქალაქ ბასმინჯს.

ეინუდ-დოვლეს შეუერთდა ღემავენდის პოლკი.

**თეირანი.** სარდარ მანსურმა რუსის მისიას თავი გაანება. შაჰმა პი- [illegible] სიცოცხლესა და ქონებას უზრუნველ-ყოფა.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა, სადამოჟნო საქმის რეორგანიზაციისათვის სამი წლის ვადით მოიწვიოს ინგლისელი გრამფორტი.

**ბუდა-პეშტი.** დეპუტატთა პალატა. პალატის პრეზიდენტმა იუსტმა შეიტანა შემდეგი რეზოლიუცია: „პალატა, განმსჭვალული გულწრფელის სიხარულით იმისა გამო, რომ ოსმალეთი კონსტიტუციონურ სახელმწიფოთა წრეში ჩადგა, უძღვნის სალამს ოსმალეთის იმპერიას. კონსტიტუციის შემოღება მთელი ხანაა, იგი გარდაჰქმნის ოსმალეთს". რეზოლიუცია ერთხმად იქმნა მიღებული.

### ბალკანეთი

**ვენა.** „კორესპ. ბიურო" სტამბოლიდან დეპეშით იტყობინება: თუ ავსტრიის საქონელს საკუთარი გემებით საბაჟო დაწესებულებებში მიიტანენ—საბაჟოს მოსამსახურე-გადმომტვირთველნი გადმოიტანენ საქონელს, ხოლო კერძო გადმომტვირთველს-კი ვერავინ დაატანს ძალას—იმუშავეთო.

**ბელგრადი.** ნოვაკოვიჩი დაბრუნდა სტამბოლიდან.

**ოდესა.** რადგან ბოიკოტი ავსტრიის საქონელზე ახლო აღმოსავლეთში ისევ გრძელდება, აქაური ნავთსადგურიდან კვლავ გააქვთ საქონელი სტამბოლსა, სმირნასა, ბეირუთსა და იაფაში.

### საზღვარ-გარედ

**ბერლინი.** ვოლფს ალჟირიდან ატყობინებენ: როგორც საბუთებიდან აღმოჩნდა, აქ არსებობს თურმე რაღაც სააგენტო, რომელსაც აზრადა აქვს, ხელი შეუწყოს ლეგიონერების დეზერტირობას. სააგენტოში გერმანელებიც არიან. ეხლა იძიებენ იმას, თუ რა როლს თამაშობდა ეს სააგენტო კოლომბეშარის ინციდენტში.

**რეშიცა** (ჰუნგრეთი). დამანის მაღაროში გაზი აფეთქდა. ხალხი დაიღუპა. ჯერ-ჯერობით ცამეტი მკვდარი კაცის გვამი ამოიღეს.

**პარიზი.** აქაური გაზეთები ბევრს სწერენ ორ დეკემბერს კოლომბეშარიდან მიღებულ ცნობის შესახებ. ამ ცნობით ლეგიონერებს საზღვარგარედ ისტუმრებდენ. შეაჩერეს მატარებელი, რომელშიაც გენერლის ვაჟი იჯდა და აიძულეს უკან დაბრუნებულიყო. გაზეთები ამ საქმეში გერმანელთა წაქეზებას ჰხედავენ. დეზერტირების მეთაური ლეიტენანტის მუნდირში იყო. გაზეთები ამბობენ, რომ ეს კაცი ბავარიის ჯარის ნაფიცრალიაო.

**ლიმოჟი.** ლიმოჟსა და ბრივს შუა გვირაბში მატარებლები დაეჯახნენ ერთმანეთს. ათი კაცი მოკლა, თხუთმეტი დაშავდა.

### რუსეთი

**კიევი.** დაიწყო გუბერნიის მომხმარებელ საზოგადოებათა წარმომადგენლების კრება. კიევის გუბერნიიდან 150 წარმომადგენელზე მეტია ამას გარდა არიან ვოლინის და ჩერნიგოვის გუბერნიის წარმომადგენელნიც. კრების თავმჯდომარემ აღნიშნა მომხმარებელ საზოგადოებათა გამრავლება, რომელთა რიცხვი გუბერნიაში 400-მდე ადის და სთქვა, რომ სოფლის კოოპერატივების იდეა უკვე საკმაოდ შეიგნეს გლეხებმაო. თავმჯდომარემ გააცნო კრებას ამ მოკლე ხანში დაარსებულ მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირის მიზანი.

**პეტერბურგი.** სენატმა განიხილა საერო განათლების მინისტრის 12 სექტემბრის რაპორტი და დაადგინა: 1. თუმცა 1905 წლის 27 აგვისტოს უმაღლესი ბრძანება უნივერსიტეტის საბჭოს უფლებას აძლევს, რომ მიიღოს შესაფერი ზომები სამოსწავლო ცხოვრების რიგიანად წასაყვანად, მაგრამ ბრძანება უფლებას არ აძლევს მას სამოსწავლო ცხოვრების ისეთი ახალი ნორმები შემოიღოს, რომელიც ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს; 2, უმაღლესმა ბრძანებამ საერო განათლების მინისტრს შეანარჩუნა უნივერსიტეტის საბჭოს ყველა მოქმედების კონტროლი; მინისტრისავე კონტროლს ექვემდებარებიან საერო განათლების სამინისტროს სხვა უმაღლეს სკოლების ორგანოების მოქმედებანი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ განიხილა სახელმწიფო სათათბიროს 48 დეპუტატის განცხადება სტავროპოლის გუბერნიაში საერთო [illegible] შემოღების შესახებ, მაილოვმა დაადგინა, სამინისტრომ შეიმუშაოს ამის შესახებ კანონ-პროექტი.

**მოსკოვი.** მეხუთე საარჩევნო ნაწილში 34 ხმოსნის მაგიერ აირჩიეს 3 პროგრესისტი, 5 ოქტომბრისტი და ერთიც მონარქისტებისა და ოქტომბრისტების კანდიდატების შეერთებულ სიიდან.

**მინსკი.** იზიასლავში მატარებელში ცეცხლი გაუჩნდა პირველ კლასის ვაგონს. ერთი მგზავრი ქალი დაიწვა, მძიმედ დაშავდა ერთი, მსუბუქად—რვა.

**პეტერბურგი.** განაგრძობენ მოწმეთა გამოკითხვას კოვალენსკების საქმის გამო. ხელ-მეორედ გამოკითხულმა კოვალენსკების მამამ განაცხადა, რომ იგი თავის ზნეობრივ მოვალეობად სთვლის უზრუნველ ჰყოს ისინი, ვინც დაშავდნენ იმის შვილებთან შეტაკების დროს. ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ მეეტლე ივანოვს და დარაჯ ხიმიჩევს შრომის უნარი სრულიად დაუკარგიათ, ხოლო სტუდენტს სანინს და მეეზოვე ვენედიქტოვს სავსებით არ დაუკარგავთ შრომის უნარი. სასამართლოს გამოძიება დასრულდა. საღამოს სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო პროკურორის ამხანაგმა. მან კორნეტ კოვალენსკის ბრალი დასდო ხუთი კაცის მოკვლის განზრახვაში, ხოლო პავ. კოვალენსკის—პოლიციის წინააღმდეგობაში ძმის დაჭრის დროს. ამის შემდეგ ილაპარაკეს დაზარალებულთა ვექილებმა. სხდომა 4 დეკემბრისთვის გადაიდო.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **სასოფლო-საკრედიტო ამხანაგობანი.** ამას წინად აწყურისა, ძველი-გავაზისა და ყვარელის (სამივე სოფელი კახეთშია) სოფლის საზოგადოებებმა შუამდგომლობა აღსძრეს წვრილი კრედიტის საქმეთა სამმართველოს წინაშე, მისცემოდათ წვრილ საკრედიტო ამხანაგობათა დასაარსებლად. სამმართველოს ეს შუამდგომლობანი შეუწყნარებია. თითოეულს სულის საზოგადოებას საკრედიტო ამხანაგობის ძირითად თანხად მიეცემა ას-ასი თუმანი. ეს სესხი გძელ ვადით მიეცემათ. ამას გარდა მოკლე ვადიან სესხად, როგორც საწარმოო თანხა, მიეცემათ: აწყურის ამხანაგობას—2000 მან., ყვარლის ამხანაგობას—3000 მან. და ძველი გავაზისას—3000 მან. თუ ამხანაგობათა საქმე კარგად წავიდა, მაშინ თითოს საწარმოო თანხად 6000 მანეთამდე იქნება აყვანილი. ამხანაგობანი, როგორც განზრახულია, მოქმედებას დაიწყებენ ამა დეკემბერს ან მომავალ წლის იანვარს. ამხანაგობებს საჭირო წიგნები, ბლანკები და საქმის საწარმოებლად საჭირო მასალა პირველს წელს მუქთად მიეცემათ. წვრილი კრედიტის ინსპექტორის მეთაურობით მოხდება აღნიშნულ სოფლის საზოგადოებათა კრება ამხანაგობის გამგეობის ასარ-

---

ფორმა მავნებელია და რევოლიუციონერების მოგონილია.

* * *

იმედია სახელმწიფო სათათბირო პრობკების დახმარებით ლოთობას მალე მოსპობს და იმისთანა ამბები აღარ განმეორდება, როგორიც სმოლენსკის გუბერნიაში მოხდა. სიჩევკაში, სმოლენსკის გუბერნია, არყით შეხურებულმა ბოქაულმა ერობის ხმოსანს გვერდები დაუმტვრია. იქნებ ბოქაული მთვრალიც არ იყო, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, რუსეთში ესეც გასამართლებელი საბუთია და რატომ არ უნდა მიმართონ მას? იქნებ სამსახურის გულდასმით ასრულებამ აქნევინა ეს საქმე ბოქაულს, მაგრამ ლოთობა მაინც იხსნის მას სასჯელისაგან. როცა ლოთობა მოისპობა სათათბიროს მარტივი საშუალებით, მაშინ ბოქაულებიც ველარ გაიმართლებენ ამით თავს და კანონიერ სასჯელს მიიღებენ. ესეც კარგი იქნება.

ამ ბოქაულს ისე უცემია ერობის ხმოსან ჟურავლევისთვის, რომ ნაცემი იმ წამსვე პეტერბურგისკენ გამგზავრებულა და სათათბიროს თავმჯდომარის ხომიაკოვისათვის მიუმართავს. უნდა სიმართლე სთქვას კაცმა, ხომიაკოვს ხმოსნის მხარე დაუჭერია და უკვე კაცი გაუგზავნია გამოსაძიებლად.. მაგრამ იმედია, რომ „въ виду смягчающихъ обстоятельствъ" ბოქაულს სხვაგან გადაიყვანენ, სადაც ერთს კი არა, რამდენსამე ხმოსანსა სცემს, ან არა და იქვე დასტოვებენ, მხოლოდ გააფრთხილებენ.. გაფრთხილება ბოქაულებისა ამ შემთხვევაში კი იმასა ნიშნავს, რომ ჩუმად უნდა სცემონ ხალხს, თორემ რუსეთში სახელით მაინც არსებობს „კონსტიტუცია" და „ურიებისაგან მოსყიდული" ოპოზიცია იმ წამსვე შეკითხვას შეიტანს სათათბიროში. თუმცა იმათ შეკითხვებს ბევრს ყურადღებას არავინ აქცევს, მაგრამ მაინც ბევრად სასიამოვნო არ არის მათი ლაპარაკი.

* * *

კარგი და პატიოსანი, რომ ბოქაულები ერობების ხმოსნებს გვერდებს ამტვრევენ, იქნებ ეს პატარა გიმნასტიკა ხმოსნებს მოუხდეთ კიდეც, მაგრამ ეს რაღა უბედურებაა, რომ ბიუროკრატიის უმაღლესი წარმომადგენელნი ხაზინას და ხალხს სცარცვავენ და ატყავებენ! საბრალო კია რუსეთის ბიუროკრატია! ამაზე უილბლოს კაცი ველარა ნახავს. სწორედ საჭიროა, დაარსდეს ბიუროკრატთა მფარველი საზოგადოება. ერთ უბედურებას მეორე უბედურება მოსდევს. არ დააცლიან ხოლმე, რომ ერთი აღმოჩენილი ბოროტმოქმედება მოინელოს, რომ მეორეც ზედ ერთვის. მოსკოვის პოლიციის ამბები, მისი გმირი მოსკოვის ყოფილი გრადონაჩალნიკი რეინბოტი, ტაშკენტის რკინის გზის მოსამსახურეთა და ტაშკენტის კუთხის მოხელეთა ბოროტმოქმედება, ცუსიმას „გმირების" „პოდლოგები", ციმბირის რკინის გზა..... ყაზანის საინტენდანტო. მგონი, საკმაო. ზოგიერთ აქ მოყვანილ რევიზიის შედეგები მკითხველს ჩვენმა გაზეთმა ცოტად თუ ბევრად უკვე გააცნო. ყაზანის საინტენდანტოს მოხელეების საქმენი საგმირონი-კი ჯერ არ გაუცვნია მკითხველისთვის.

საზოგადოდ რუსეთში ისეა მიღებული, რომ საინტენდანტოში უნდა უსათუოდ იპარავდნენ. თუ არ მოიპარეს, მაშინ არც საინტენდანტო იქნება. ასეთი აზრი არც მოკლებულია საფუძველს. მართალია, არის იქ პატიოსანი ხალხი, როგორც სხვა დაწესებულებებში, მაგრამ ისე ცოტა, რომ სულ დაჩრდილულია. აი თუნდ ყაზანის საინტენდანტოს მოხელეები აიღეთ. როგორ შეიძლება, რომ მათში პატიოსნებიც არ იყვნენ? იქნებიან, როგორ არა, მაგრამ ისე ცოტანი, რომ ისინი სრულებით არა სჩანან. უმრავლესობა კი ისე შინაურულად იქცეოდა თურმე, რომ „ათას-ერთ ღამის" არაკს მოგაგონებთ.

თურმე არავის არ ერიდებოდნენ, მამა-შვილურად იქცეოდნენ, თავიანთ თავსაც სცემდნენ პატივს და არც ყაზანელი მილიონერთ ალფუზოვებს სტოვებდნენ უამისოდ. საქმე იმაშია, რომ ალფუზოვს ყაზანში ტანისამოსის და სხვა რამეების ქარხნები აქვს და რადგან მთელ ყაზანის სამხედრო ოლქის ჯარს ესენი აწვდიდნენ ტანისამოს, ამიტომ ყაზანის საინტენდანტოს მოხელეებს და ალფუზოვებს შორის შინაური დამოკიდებულება იყო თურმე, სალდათი ყველაფერს იტანს, ეუბნებოდნენ ალფუზოვები, გაგვისაღეთ დამპალი, უვარგისი საქონელი და თქვენც ირგეთ და ჩვენც გვარგეთო. საინტენდანტოს მოხელეებსაც ჭკუაში უჯდებოდათ ეს და უსაღებდნენ დამპალ საქონელს ალფუზოვებს.

შედეგი? სალდათი თითებ გამოყოფილი და დამპალ ტანისამოსში „გამოწყობილი", ალფუზოვებს მილიონების მიმატება, ხოლო მოხელეების რესტორნებსა და კაფე-შანტანებში ქეიფი ტრიპაკას თამაშით. მშვენიერია, მკითხველო არა? ეტყვიან ხოლმე, რუსეთისთანა შემოსავალი არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს და მაინც ყოველ წლივ სესხულობსო. შემოსავალი დიდია, მაგრამ რეინბოტების მადაც გაუმაძღარია.

რეინბოტის სახელის მოგონებაზე აქ არტისტი ქალი ლეეგარი მომაგონდა. ეს ის ქალბატონია, რომელიც ფულის აღებაში მარჯვენა ხელი იყო რეინბოტისა. ზოგიერთებზე რომ იტყვიან, ქუდ-ბედი დაჰყვაო, სწორედ ამ არტისტ-ქალზეა ნათქვამი. ლეეგარმა დიდი როლი ითამაშა „მოსკოვის მხიარულ დღეებში" და ეხლა ბედი სწვევია. ანტრეპრენიორები ერთმანეთს ეცილებიან თურმე, არა ჩემთან უნდა ითამაშოს, არა ჩემთანაო, თუ გეროსტრატმა თავის სახელის ისტორიაში ჩასაწერად ბერძენთა ერთი უმშვენიერესი ტაძარი დაწვა, არტისტ ქალმა ლეეგარმაც „რეინბოტიადა"-ში მონაწილეობით სახელი მოიხვეჭა და კიდეც სარგებლობს თურმე ამით.

ეს კიდევ არაფერი: სხვამაც არავინ მიჰბაძოს, თორემ ერთ „ლეგარს" რუსეთი როგორც იქნება გაუძლებს. წაბაძვა, ხომ იცით, რაც არის და ამას გარდა რუსეთში ჯერ კიდევ ბევრი რეინბოტია არ აღმოუჩენიათ.

* * *

ამ დალოცვილ რუსეთში ყველაფერი არა ჩვეულებრივია. ტყუილად კი არ ამბობენ სლავიანოფილები, რუსეთი თავის განსაკუთრებულ გზით მიდისო. კონსტიტუცია რაღაც კუდ-მოგლეჯილია, „ჭეშმარიტი რუსები" რაღაც სხვა ჯურის ხალხია, რეინბოტებიც ბევრნი არიან. და სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეც, მეტი რომ არა ვთქვათ, ახირებული კაცია. სახელმწიფო სათათბიროს სხდომებზე ისე იქცევა, გეგონებათ თავის სახლშიაო. სახელმწიფო სათათბიროს სხდომებს რომ თავი დავანებოთ, ხომიაკოვი უგაზეთოდაც თურმე მშვენივრადა სძლებს. ესეც გასაკვირველია, თქმა არ უნდა, მაგრამ ყველაზე გასაკვირველი კი გაზეთების კორესპონდენტებთან ხომიაკოვის ინტერვიუა. მაგალითი ბევრია, მაგრამ ერთს მოგახსენებთ.

ამას წინად ერთ გაზეთის კორესპონდენტს ხომიაკოვმა უთხრა, მე წინააღმდეგი ვარ ხოლმის რუსეთის პოლონეთიდან გამოყოფისაო. ეს ძალიან სწყენია ეპისკოპოს ევლოგის და ხომიაკოვისთვის მიუმართავს განსამარტებლად. ხომიაკოვის ლაპარაკის შემდეგ ეპისკოპოსმა ევლოგიმ გაზეთებში შემდეგი დაბეჭდა: „მე მოველაპარაკე ხომიაკოვს და იმან მომანდო გამოვაქვეყნო, რომ კორესპონდენტთან ნალაპარაკევი წამოსცდენია და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ხომიაკოვი ხოლმის რუსეთის საკითხთან გაცნობილი არა ყოფილა და ეხლა სურს ყოველ მხრივ შეისწავლოს ეს საკითხიო".

როგორ მოგწონს, მკითხველო? სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე და წამოსცდენია, საკითხთან გაცნობილი არა ყოფილა, იმის ნალაპარაკევს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონია და სხვა ამისთანები... მშვენიერია!

* * *

ზემოდ ვთქვით, რომ რუსეთში ყველაფერი არა ჩვეულებრივიაო. ეს ასეც უნდა იყოს, თორემ მაშ რითი უნდა აიხსნება ის გარემოება, რომ ერთი გუბერნატორი მეორე გუბერნატორს თვალ-ყურს ადევნებს, „კრამოლნიკი" ხომ არ არისო.

რუსეთის ერთ-ერთ გუბერნატორს, როგორც ეტყობა „რუსის კავშირის" წევრს, მეზობელ გუბერნატორთან ჩუმად კაცი გაუგზავნია იმის გამოსაძიებლად, თუ რა მიმართულებისაა ეს გუბერნატორი. გაგზავნილ კაცს დაუდასტურებია, რომ გუბერნატორი „კრამოლნიკიაო". ამის შემდეგ ჭეშმარიტ გუბერნატორს მეზობელ გუბერნიის ჟანდარმთა უფროსისათვის მიუწერია გამოიძიე მართლა მოღალატეა თუ არა თქვენი გუბერნატორიო. ჟანდარმთა უფროსს ყველაფერი ეს თავის გუბერნატორისათვის შეუტყობინებია. გუბერნატორს პეტერბურგში უფრენია ეს ამბავი და, ბოლოს, ჩვენი გულ-მხურვალე გუბერნატორი ადგილიდან დაითხოვეს.

ამის შემდეგ ბრძანეთ, რომ რუსეთში ყველაფერი არა-ჩვეულებრივი არ არისო? ან კაცს შრომას არ დაუფასებენო? შრომის დაფასებისა კი რა მოგახსენოთ, მაგრამ გუბერნატორს რომ ცუდად მოექცნენ, ეს კი ფაქტია. მართალია, მან თავისს უფლებას გადააჭარბა და კოლეგას დაღუპა მოინდომა, მაგრამ ყველაფერი ეს „სამშობლოს სიყვარულით" მოუვიდა და უნდა ეპატიებინათ, მაგრამ სად არის სამართალი!!.

* * *

იმ დროს, როდესაც მღვდლები ასიმოვები, პოლიციელნი რეინბოტები და ძმანი მათნი ხალხის ძარცვა-გლეჯაში ატარებენ დროს, სახელმწიფო სათათბირო „რეფორმებით" აბედნიერებს რუსეთს, გუბერნატორები ერთმანეთს აბეზღებენ, —ამ დროს ბევრი გულშემზარავი ამბავი ხდება რუსეთში. ყველაფერი დაცემულია, აღებ-მიცემობა, მრეწველობა, გლეხებზე თქმა საჭიროც არ არის. ქალაქების თვითმმართვე-

ჩევად. ასეთი ამხანაგობანი უკვე დაარსდა ბორჩალოს მაზრის სოფელ ეკატერინოფოლ...ი და გორის მაზრის სოფ. დოისში. თელაველთ და სურამელთ უარი უთხრეს სესხის მიცემაზე. შუამდგომლობა ამხანაგობათა დასაარსებლად 17-მდე აღძრულია, ხოფლებ მალხაზოვკასი, მიხაილოვკასი, ნოვოალექსანდროვკასი (კახეთში) საგურამოს და სგვმთა.

**✦ სახალხო უნივერსიტეტი.** დღეისთვის (საღამოს 6 საათზედ) მიმდინარე საქმეების განსახილველად დანიშნულია სხდომა ტფ. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობისა.

**✦ სიძვირე.** ტფილისში მეტად გაძვირდა ყოველისფერი. კვერცხი ოთხ კაპიკ ნაკლებ არ იშოვება; ნახშირი წინად ორი აბაზი იყო, ეხლა რვა აბაზი გახდა. ამგვარადვე გაძვირდა სხვა სანოვაგე. და ქალაქის თვითმართველობა სულ არა სცდილობს რაიმე ილონოს ამ სიძვირის წინააღმდეგ.

**✦ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.** 3 დეკემბერს კავკაზ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს განიხილა საკითხი ტფ. საბაღოსნო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ. საბჭომ აირჩია კომისია და მას დაავალა საბაღოსნო სკოლის მდგომარეობის გამორკვევა. კომისიამვე უნდა წარუდგინოს საბჭოს სია კანდიდატებისა სკოლის გამგის თანამდებობაზე. კომისიაში აირჩიეს ვ. ი. რცხილაძე, ე. ო. იოსელიანი, ვ. სოკოლოვი, ა. სააკოვი და ბებუთოვი. ამას გარდა, საბჭომ დაადგინა, 10 დეკემბერს მოახდინოს თათბირი. რომლის დროსაც უნდა დაასახელონ სასურველი კანდიდატები ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზედ. ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები 12 დეკემბერს მოხდება.

**✦ ჯეჯილი.** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალის „ჯეჯილის“ მე-X და XI ნომრები. ამ წიგნში მოთავსებულია ლექსები, მოთხრობები და წერილები აკაკისა, შ. მღვიმელისა, ეკ. გაბაშვილისა, ან. წერეთლისა, ელ. წერეთლისა, ალ. მიქაბერიძისა, ივ. გომართელისა და სხვათა.

**✦ ელექტრო-ტეხნიკოსთა კრება.** 27 დეკემბერს მოსკოვში დაიწყება მეხუთე კრება სრულიად რუსეთის ელექტრო-ტეხნიკოსებისა. კრების საორგანიზაციო ბიურო ამ ამბავს ატყობინებს ტფ. ქალაქის გამგეობას და სთხოვს წარმომადგენლების გაგზავნას,

**✦ სახელოსნო სასწავლებელი ბათუმში.** ბათუმში არსებობს სახელოსნო სასწავლებელი, რომლის შესანახად სამოსწავლო უწყებას წელიწადში ეხარჯება 40,000 მანეთი. ამას წინად რევიზია მოუხდენიათ და გამორკვეულა, რომ სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებას. ამის გამო სამო სწავლო უწყება სთხოვს მიწად-მოქ მედების მინისტრის რწმუნებულს, აღნიშნულ სასწავებელთან დაარსოს მაუდებისა და ხალიჩების საქსოვისა ხელოსნო.

**✦ მკვლელობა** 3 დეკემბერს საღამოს 10 საათზედ „კონსტანტინეპოლის“ სასტუმროში, ბარონის ქუჩაზე, შემდეგი ამბავი მოხდა: ამ დროს სასტუმროში, პოლიციის გამოძიებით, ღამის გასათევად შესულა ქალი და კაცი, გარეგნობით თათრები. ცოტა ხნის შემდეგ ნომერში პასპორტისთვის შესულა მოსამსახურე სარქის მიკრტიჩიანცი და საწოლზე უნახავს ყელ-გამოჭრილი მთლად სისხლში ამოსვრილი ქალი როგორც იქვე დატოვებულ ნივთებიდანა სჩანდა, უცნობნი აზიიდან მონავალან. უცნობი კაცი სადღაც გამქრალა სასტუმროდან. მისი ვინაობა არ იციან.

**✦ რევიზია.** როგორც ვწერდით, ამ ჟამად რევიზიაა საქართველოში სასულიერო სასწავლებლისა. რევიზია დამთავრდა დასავლეთ საქართველოში და ამ ჟამად ტფილისშია, სასულიერო სემინარიაში. როგორც ვიცით, ამას წინად დამთავრდა სასინოდო კანტორის რევიზიაც. ამ ცოტა ხანში დაიწყება კიდევ რევიზია სამრევლო სკოლებისა. ყველა ამ რევიზიას კავშირი აქვს იმ რეორგანიზაციასთან, რომელიც სასულიერო სასწავლებლებსა და სასულიერო საქმეებში სინოდს განუზრახავს.

**✦ თავად-აზნაურთა კომისია.** ამ დღეებში ტფილისიდან პეტერბურგს მიდის თურმე თავად-აზნაურობის განსაკუთრებული კომისია, რომელმაც კახეთის რკინის გზის ასაღებად მონაწილეობა უნდა მიიღოს კონკურსში. კომისიაში არიან თ-დი ი. ზ. ანდრონიკაშვილი, დ. ე. ჩოლოყაშვილი და გ. პ. თუმანიშვილი.

**✦ საისტორიო საზოგადოება.** დღეს, პარასკევს, საღამოს 7 საათზე, თავად აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს დარბაზში (ბელინსკის ქ. № 2), მოხდება „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ჩვეულებრივი საზოგადო კრება. კრების საგანი: 1) რეფერატი მ. ჯანაშვილისა: „ინგილოური სახალხო სიტყვიერების ნიმუშები“ (ადგილობრივ კილოზე) და 2) საკითხი აკაკი წერეთლის პატივისცემის შესახებ 50 წლის იუბილეის გამო.

**✦** ქართულ საისტორიო საზოგადოებას მოუვიდა ბ-ნ დათუშაძისაგან სოფ. ბაღდადში ნაპოვნი თეფში (დანგარი) სიმონ ქუთათელისა, რომელიც მე-17 საუკუნეში იყო ეპისკოპოსად.

**✦** სამშაბათიდან ტფილისში გამოვა ახალი ყოველ დღიური სომხური გაზეთი „მიტკ“ (აზრი) არ. ელიგაროვის რედაქტორობით.

**✦** მაგისტრალნი ქუჩაზე 3 დეკემბერს პოლიციამ დააპატიმრა ქართლელი დავით რაზმაძე, რომელსაც წელზე შემოხვეული 30 ადლის სიგრძე თასმა აღმოაჩნდა, რკინის გზის სახელოსნოდან მოპარული.

### ქ უ თ ა ი ს ი

**✦ ფასის დაკლება ჭიათურის შტოზე.** პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ სატარიფო კომიტეტმა შავი ქვის გადატანის ფასს დაუკლო ჭიათურის რკინის გზაზე 1 ნახ. კაპეიკი. ეს გადაწყვეტილება მაშინ შევა ძალაში, როცა დაამტკიცებს ფინანსთა მინისტრი. ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მრეწველთა შორის. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ტარიფს სამ კაპეიკს მაინც დაუკლებდნენ ფუთზე. ამავე დროს ჯაქვის რკინის გზის გაყვანის საქმე ისე მოეწყო რომ ალაგრავის აქვს ეჭვი, რომ იგი მცირე ხანში განხორციელდება. საქმე ის არის, რომ ამ გზის გასაყვანად არტურ ვოპელს, რომელსაც კერძო მემამულეთაგან უკვე შესყიდული აქვს ადგილები, შეუდგენია კომპანია სამ მილიონ მანათის თანხით, გარდა თვით ვოპელისა, შედიან თურმე ბერლინელი ბანკი „დისკონტო“ და აზოვ-დონის ბანკი. კონცესიის ძალით, ამ გზით წლიურად შეუძლიან გადაიტანონ არა უმეტეს ათ მილიონ ფუთი მადნისა და, რა თქმა უნდა, ამ გზით გადატანილი მადანი ბევრად იაფად დაჯდება რკინის გზით გადატანილზე: ჯაქვის რკინის გზა ისე იქნება მოწყობილი, რომ იგი მადნებიდგანავე დაიტვირთავს შავ ქვას პირდაპირ შორაპანში წასაღებად. ეს გარემოება უფრო გააიაფებს საქმეს.

**✦ საქალაქო საკრებულოს კანცელარიის შესანახი ხარჯი.** ქალაქის საქმეთა საკრებულომ დაადგინა, მომავალ წლისათვის ქალაქ ქუთაისს დაეკისროს ხსენებულ საკრებულოს კანცელარიის შესანახად 1281 მანეთი, ფოთს—663 მან., სოხუმს—424 მანეთი და ოზურგეთს—32 მანეთი. წელს ქუთაისმა კანცელარიის შესანახად გადაიხადა 868 მანეთი.

**✦ ქუჩების სახელების დარქმევა.** ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თხოვნით გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, რომ დაუყოვნებლივ შეუდგეს ქალაქის ქუჩების სახელების დარქმევას და სახლების ნომრებით აღნუსხვას. ამასთან საჭიროა, რომ ყოველს ქუჩაზე, გამოსაჩენ ადგილას, გაიკრას ფიცრები, რომლებზედაც უნდა აღინიშნოს ქართულად და რუსულად ქუჩის სახელი.

**✦ ბინის ქირა.** ქალაქის საქმეთა საკრებულომ 1 დეკემბერს გააუქმა ქალაქის საბჭოს დადგენილება და ქალაქის სავალდებულოდ გაჰხადა მაძებარ პოლიციის ბინის დაქირავება.

**✦ მიწის-ძვრის ზარალი.** ტყიბულიდან ამბავი მოდის, რომ იქ მიწის-ძვრას დიდი ზარალი მიუყენებია. მრავალი სახლი დაზავებულა, ბევრიც დანგრეულა. სხვათა შორის დაზავებულა სამი ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვა შეუძლებელია თურმე.

ქუთაისის კლუბს არა ერთხელ მიუქცევია თავის თავზე ყურადღება. აქ ლანძღვა თრევა, აყალმაყალი კლუბის წევრთა შორის ჩვეულობრივი საქმეა. ყველა ამას იწვევს ქაღალდის თამაში. ამ გვარივე საქმე მოხდა ამას წინად. კლუბის ერთ მამასახლისს, შეუნიშნავარა დაგვიანებული სტუმრები კლუბში, განიზრახავს იმის ფაგება, დაჯარიმებულნი არიან ისინი თუ არა. ამ ნიადაგზე მას და მეორე მამასახლის შორის კამათი ატეხილა და როცა საქმის გამოსარკვევად პირველს ეკონომი დაუბარებია, საქმეში ჩარეულა ვ. ჩ—ძე და საქმე იქამდის მისულა, რომ უკანასკნელს მამასახლისისთვის უსროლია შანდელი, რომელიც ასცდენია მას კედელს მოხვედრია და ლუკმა-ლუკმად ქცეულა. მერე ბ-ნი ჩ—ძე, გულ-და-გულ მისულა მამასახლისთან, შანდალი შემოუღერებია და, რა დაუნახავს რომ მოპირდაპირე ადგილიდან არ დაძრულა, იატაკზე დაუხეთქებია შანდალი და ისიც დაუმტვრევია. საქმეს ეხლა მამასახლისთა საბჭო იძიებს და მერე გადაეცემა განსახილველად კლუბის წევრთა კრებას.

## წერილები

**თელავი.** სკოლის გარედ სწავლა-განათლების მიღება ყველგან აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მით უმეტეს თელავში, სადაც ყოველ წლობით მრავალი ბავშვი რჩება სკოლის გარედ და უსუსურ ყრმათ მჭედლისა ან მიკიტნის დუქნებში ეხშობათ გონება. საკვირაო სკოლა, სახალხო კითხვები და სხვა თითქმის ერთად-ერთი საშუალებაა მათის გათვითცნობიერებისათვის. სამწუხაროდ, თელავში ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. აქ შვიდი სხვა და სხვა ხარისხის სასწავლებელია, პედაგოგი 40—50 იქნება; არის ინტელიგენციაც, რომელსაც შეუძლიან მეცადინეობა, მაგრამ მაინც შეუძლებელი გახდა ერთი საკვირაო სკოლის არსებობა.

საკვირაო სკოლა თელავში ამ 7—8 წლის წინად დაარსდა და პირველად კარგად წავიდა მისი საქმეები. მოსწავლეთა რიცხვმა ორას გადააცილა; პატარების გარდა, დაიარებოდნენ დიდი ხელოსნებიც. მეცადინეობის გარდა, იმართებოდა სახალხო კითხვებიც ბუნდოვანის სურათებით და სხვ. მაგრამ მალე მისი ჩარხი უკუღმა დატრიალდა, მასწავლებლები ნელ-ნელა ჩამოშორდნენ, სკოლა მეტ ბარგად მიიჩნიეს, ბოლოს უმრავლესობამ მოსპო მეცადინეობა და სკოლის კარებიც გამოიკეტა. ყოველ-კვირა ამაოდ მიდიოდნენ მოწაფენი იყვნენ ახლო-მახლო სოფლებიდანაც, ტყუილად უხდებოდათ ლოდინი და ისევ შინ ბრუნდებოდნენ. ამნაირად დაიკეტა ამ 2—3 წლის წინად საკვირაო სკოლა; პაწია ბიბლიოთეკა ერთ შკაფშია უპატრონოდ მიტოვებული, ბუნდოვანი ფარანიც, რომელიც სკოლამ შეიძინა, არც კი იციან, სად არის.

აქვე არ შემიძლიან, სიამოვნებით არ აღვნიშნო სომხურ საკვირაო სკოლის არსებობა წმ. გაიანეს სასწავლებელთან. ეს სკოლა ამას წინად დავათვალიერე და მართლა სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. სკოლას განაგებს მასწავლებელი ქალი ალიხანიანცი, რომელიც სცდილობს სკოლის გაფართოებას და არსებობის სახსარის მოპებას. მისის თხოვნით, ქალაქის გამგეობამ 50 მან. შეაწირა. მხოლოდ საქმე ის არის, სკოლაში მარტო ქალები დაიარებიან, ასწავლიან საგნებს სომხურად და რუსულ ენასაც. ქართულს ვერ ასწავლიან, რადგან ნება არა ჰქონიათ და ამის გულისთვის ქართველებს ვერც იღებენ, თუმცა მთხოვნელი ბევრია. ამის შესახებ გამგეს შუამდგომლობა აღუძრავს მაგრამ უარი მოსვლია.

აქედან ჩათლადა სჩანს, რა დიდი მოთხოვნილებაა საკვირაო სკოლისა, სადაც ქალებთან ერთად ვ ჟებიც (რაც უფრო საჭიროა) ისწავლიან და ქართულსაც ადგილი ექნება. საკვირაო სკოლის ნებართვა-კი დიდი ხანია აღებულია, როგორც ზემოდ მოვიხსენიე, მოქმედობდა კიდეც, საჭიროა მხოლოდ მცირეოდენი ფული და უმთავრესად მასწავლებელნი, რომ განახლდეს იგი.

იმედია, ამის შემდეგ მაინც აღმოჩნდებიან გულშემატკივარნი, რომელნიც კვირაში თითო საათს არ დაიშურებენ, რომ ღარიბ-ღატაკთა შვილთ საშუალება მიეცეთ ისწავლონ ან-ბანი მაინც.

**დავიწყებული.**

—

**ერწო** (თიანეთის მაზრა). წელს აქეთ კარგი მოსავალი იყო, თუმცა გამოსავალი შარშანდებრ არა ჰქონდა. ანეულები კი ვერ იყო კარგი, რადგან უწვიმობისა გამო გვიან დაიფარცხა; ზოგან ჯერ ისევ გალიავებული იყო თესლი და ჯეჯილები ახლად ამოდიოდა, რომ თოვლი დადო. თოვლი ძლიერ დიდი მოვიდა და თუმცა ნათქვამია: „ზამთარს თოვლიანს თან მოსდევს მოსავალიო“, მაგრამ, საუბედუროდ, სწორედ ერწოსათვის არ არის ეს კარგი, რადგან ძლიერ ნოტიო ადგილია. მახსოვარი ცოტაა ასეთ თოვლისა, ყინვისა და ასე ადრიან ზამთრის დაწყებისა. მისვლა-მოსვლა ძლიერ გაძნელდა. ხალხი მოუმზადებელი დახვდა ზამთარს, ზოგს შეშა დარჩა ტყიდან მოსატანი, ზოგს პური დაუფქვავი, სალეწი გაუთავებელი და სხვა. თუ ბოლომდის ასე გასტანა, ხალხს ძლიერ გაუჭირდება.

ზამთარზე ნაკლებ არც გადასახადების მოკრებამ შეაწუხა ხალხი. ძველსა და ახალს ... არავიზე არჩენენ. შარშან რაღაც ძველ გადასახადებს სთხოვდნენ, როგორც გაზეთშიაც იყო მოხსენებული, მაგრამ ხალხის თხოვნისა გამო საქმის გამორკვევამდე ადროვეს და წელს კი მაინც გადაახდევინეს. სხვა გადასახადებიც ბევრი იყო ძველი დარჩენილი ხალხზე და სულ ეხლა ახდევინებენ. ტყის ოქმებს ხომ ანგარიში არა აქვს. ხალხი უგზობისა გამო ველარსად გავიდა ფულის საშოვნელად და საჯარო ვაჭრობაში ეყიდება ბზე-თივა, პური, საქონელი და რის გაყიდვაც კი შეიძლება.

სამაგიეროდ, რაც თოვლი დასდო, ხალხმა ცოტა ყაჩაღებისა და ქურდებისაგან მოისვენა. ზაფხულში კი ყველა ... დაცემული იყო მათგან. წერილების მიგდება და ფულის თხოვნა მუქარით, სახლებზე დაცემა, გზაში დახვედრა და ამისთანები იშვიათი მოვლენა არ იყო აქ. მაგალითებიც: სვიმონიანთ ხევში გასცარცვეს დალაქი, წაართვეს ფული, ქალი და ცოლი მისი დასჭრეს. იქვე გასცარცვეს მოხუცი დედაკაცი. ს. სიობში შუადღისას რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაეცა ინჟენერს. წაიღეს 6 თოფი, ოქრო—ვერცხლის ნივთები და ფული 1500 მან. თვით ინჟენერი და მისი მოურავი ტყეში წაასხეს დასახოცავად, მაგრამ ისევ გაანთავისუფლეს. მათთვის ეთქვათ, ხალხს ნუ აწუხებთ, თორემ დაგხოცავთო.

ბოლოს აქ, როგორც მკითხველებმაც იციან, ფშაველიშვილმა, პეტრიაშვილმა და ერთმა რუსმა მოჰკლეს მღ. თურქაძე პირადის ანგარიშებით მღვდელთან ერთად მოჰკლეს იქაურივე ბიჭი 18 ტყვიით ეკლესის კარებთან, რადგან მღვდელს მიშველებოდა. ამ საქმის გამო დიდი მითქმა-მოთქმაა ხალხში. ამბობენ, ზეკუციას ჩაუყენებენ, მთავრობის მამასახლისს დაუნიშნავენ, დახოცილი ოჯახების სასარგებლოდ ფულს გადაახდევინებენო. რით გათავდება საქმე, ღმერთი უწყის. ჯერ-ჯერობით მხოლოდ რამდენიმე კაცია დაჭერილი. მათ ჰბრალდებათ ყაჩაღების შენახვა და მათთვის პურის ზიდვა. ამ ამბებით ხალხი ძლიერ შეწუხებულია. პოლიციაც ძლიერ განურისხდა, რატომ არ დაიჭერთ აქ რომ დადიოდნენ და არ დახოცეთო. დალოცვილები, თითონ რატომ არ იჭერენ!

აქეთ დაიწყო მამულების გაყიდვა თავადებისაგან გლეხებზე თავადები ძლიერ სცდილობენ თავიანთ მამულების გაყიდვას. გლეხები ამას ეჭვის თვალით უყურებენ რაღაც საქმეა და იმიტომ ჰყიდიანო ამბობენ ისინი და ხშირად კითხულობენ, როგორ მოიქცნენ ან რა პირობით იყიდონ. ბანკის საშუალებით ყიდვას ერიდებიან და რამდენიმე წლით ურიგდებიან წვრილ-წვრილად აძლიონ მემამულეებს. საშუალო ფასი დესეტინაზედ დაიდო 30 მან.

ზოგი მამული უკვე გაიყიდა, ზოგზედაც ახლა რიგდებიან. ყველგან აკაკის იუბილეისთვის ემზადებიან და ამ ჩვენ კურთხეულ თიანეთს კი თავისებური ძილით სძინავს.

**ერწოელი.**

რედაქტორ-გამომცემელი **ივანე სოზიაშვილი.**

ლობათა საფინანსო მდგომარეობა აუწერელია. ძარცვა-გლეჯა ხომ ისე გახშირდა, რომ ნორმალურ მოვლენად გადაიქცა. კაცის სიცოცხლე ორ გროშად აღარა ღირს. ამას წინად ერთ სოფელში სამმა შეიარაღებულმა კაცმა ერთი ოჯახი ამოსწყვიტა. მერე ამოწყვეტაც არის და ამოწყვეტაც. საწყალ ოჯახის უფროსს, 75 წლის მოხუცს, ტანისამოსი გახადეს და სანთლით დაუწვეს მთელი ტანი. იქნება გგონიათ, ამისთანა ამბავი ცოტა ხდებოდეს რუსეთში? ბევრი, ძალიან ბევრი. მერე რა არის ყველა ამის მიზეზი? ნუ თუ მართლა რუსეთში ხალხი ზნეობრივად ისე დაეცა, რომ კაცის კვლა აღარაფრად მიაჩნიათ? ან იქნებ მართალია „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წარმომადგენელთა ლაღადი, რომ ყველაფერი რევოლიუციონერების ბრალია, მათ მიიყვანეს ხალხი ამ ვერაგობამდის, შეაჩვიეს კაცის კვლას და ზნეობრივად შერყვნეს? საბედნიეროდ, არც ერთი და არც მეორე მართალი არ არის. ამისთანა მოვლენები უფრო ღრმა მიზეზებით არის გამოწვეული. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ბევრი დარჩა ულუკმა-პუროდ. ბევრი გარიყა ცხოვრებამ. რეაქციამ ხომ სულ ბოლო მოუღო ზოგიერთებს. როგორც ყოველთვის, გამარჯვებულებმა ანგარიშის გასწორება დაუწყეს თავიანთ მტრებს. ბევრი ვერაფერს სამუშაოს ველა შოულობს, ან როგორ უნდა იშოვნონ, რომ ყოველ მათ ნაბიჯს თვალყურს ადევნებენ, ნებას არ აძლევენ, რომ პატიოსნურ მუშაობას შეუდგეს და ცარცვა-გლეჯას თავი მიანებოს. ჩვენ, რა თქმა უნდა, იმისი თქმა არ გვინდა, რომ ამ ჯურის ხალხში მართლაც და ზნეობრივად გარეცხილნი არ იყვნენ, რომელთაც ცარცვა-გლეჯა და კაცის-კვლა არაფრად მიაჩნიათ, ან და ზემოდ მოყვანილ გარემოებით ზოგიერთების გამართლება გვინდოდეს. სრულიად არა. ვიმეორებთ, ცალკე დევნა-აწიოკებამ, ცალკე ვაჭრობა-მრეწველობის და მეურნეობის დაცემამ ძალიან ბევრნი გარიყა, რომელთაც ჭამა უნდათ, სმა უნდათ, სახლი და კარი უნდათ. აქ საქმეს უშველის არა დევნა, სატუსაღოები და ცივი ქვეყნები, არამედ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩააყენება, ძველი ნორმების გამოცვლა, რეფორმები. იმედი იყო, რომ ამას ხელს მოჰკიდებდა და რუსეთს განახლებისაკენ წაიყვანდა სახელმწიფო სათათბირო, მაგრამ ჯერ-ჯერობით იმედი ისევ იმედად რჩება.

* *

ამ გაჭირვებულ დროს მარტო შავრაზმელები დანავარდობენ რუსეთში და ყველაფერ სისაძაგლეს სჩადიან. მათ რუსეთის ესეთი გაჭირვებული მდგომარეობა ბევრად არაფრად აინტერესებთ. ოღონდ კი თავიანთ ქვენა გრძნობები დაიკმაყოფილონ და რუსეთი თუნდაც დაიღუპოს. მართალია, ისინი ყველა თავიანთ ნაბიჯს პატრიოტიზმით ხსნიან, მაგრამ მათ პატრიოტიზმს ძალიან ცუდი სუნი უდის. მათის მოქმედების აღნუსხვას ჩვენ აქ აღარ შეუდგებით, ისედაც საკმაო იწერება მათზე. ან რა საინტერესოა მათი კაცთ-მოძულეობითი სავსე მოქმედება. წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც სხვა ყველანი და ყველაფერი სძულს, ზნეობა, სიყვარული და სხვა არაფრად მიაჩნია, და თვალ-წინ წარმოგიდგებათ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ პარტიის ფიზიონომია. ასეთი კაცის ნამოქმედარი თქვენ თვითონ გაითვალისწინეთ, მე აღარ შეგაწუხებთ.

**მ. ხ—ლი**


## პარიკმახერი

**ექიმი უ. მ. ჩიქოვანი**

გადავიდა ელისაბედის ქ-ჩაზე, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად საკუთარს სახლში, N 15; ავადმყოფებს იღებს 12—2 საათამდის ყოველ დღე. (25—591—20)

**გეომეტრი და მარკშაიდერი**

## გ. ს. ასათიანი

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, ვ. ხ. ასათიანი. (0—6.—65)

GRAND PRIX

1870 წ. პარიზი 1900 წ. 1882 წ.

1865 წ. 1896 წ.

დედამიწაზე საუკეთესო
# გალოშები
სამ კუთხით

1860.
Т.Р.А.Р.М
С.ПЕТЕРБУРГЪ.

რუსეთ-ამერიკის სარეზინო მანუფაქტურის ამხანაგობა
ამ ფირმით „ТРЕУГОЛЬНИКЪ“
ს.-პეტერბურგში
სრული პასუხის-მგებლობა საქონლის სიკარგისა.
იყიდება ყველგან (50—5.—33)